



„ხელმძღვანელისა და წარმომადგენლის მნიშვნელობა , როგორც მეწარმე სუბიექტის ფუნქციონირების აუცილებელი პირობა „

ქაჯაია ლანა

„ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“,
ხელმძღვანელი სამართლის დოქტორი: ზვიად გაბისონია
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი“,
თბილისი, 0156,
საქართველო.

„თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი“, კერძო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო
პროგრამა,

„ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავაცანით ქაჯაია ლანას მიერ
შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: “ ხელმძღვანელისა და წარმომადგენლის მნიშვნელობა
, როგორც მეწარმე სუბიექტის ფუნქციონირების აუცილებელი პირობა “ და ვაძლევთ
რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”,

თარიღი: ----- 2020წ.

ხელმძღვანელი სამართლის დოქტორი: ზვიად გაბისონია

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის
ხელმოწერა

რეცენზენტის ხელმოწერა

ავტორი:

ნაშრომი: „ ხელმძღვანელისა და წარმომადგენლის მნიშვნელობა , როგორც მეწარმე სუბიექტის ფუნქციონირების აუცილებელი პირობა”

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

ინდივიდუალური პროცენტების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

რეზიუმე:

წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველოში სამეწარმეო სუბიექტის მართვისა და ფუნქციონირებისათვის ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლების ფუნქციებს და კომპეტენციებს, მათ სწორად განაწილების მნიშვნელობას და აუციელებლობას კარგი კორპორაციული მართვის ჩამოსაყალიბებლად, რადგანაც კორპორაციული მართვის მიზანი საწარმოს ეფექტური მართვაა, ხოლო ამ უკანასკნელის მოწესრიგება უზრუნველყოფს სამეწარმეო სუბიექტების წარმატებას.

სამეწარმეო სუბიექტის მმართველთა - ხელმძღვანელთა/წარმომადგენელთა როლი მეტწილად განსაზღვრავს ქვეყანაში ბიზნესის წარმატებას, ხოლო წარმატებული ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკური სიკეთეების შექმნას, აქ კავშირი უწყვეტია მეწარმე სუბიექტის დაფუძნებიდან - მის მიღწევებამდე, რომელიც მოითხოვს სამართლებრივ სახელმწიფოში ისეთი საკითხების რეგულაციას, რომელიც გაზრდის საწარმოს მმართველთა პასუხისმგებლობას და მათი სწორად დანაწილების საფუძველზე უნდა აღინიშნოს რომ, პირველ რიგში საწარმოს შიგნით მიიღწევა შედეგები, ხოლო შემდგომ უზრუნველყოფს საწარმოს გარეთ სახელმწიფოსთან და მესამე პირებთან სათანადო სამართლებრივ თუ ეკონომიკურ კომუნიკაციას.

კორპორაციული მართვა, ყველაზე ფართოდ გავრცელებული განსაზღვრების თანახმად, არის სისტემა, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებების ხელმძღვანელობა და კონტროლი ხორციელდება.

საწარმოს ეფექტური მართვა პირდაპირ კავშირშია ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა არსებობაზე, მათი როლის სწორად განაწილებაზე ისე, რომ იყოს ბალანსი დაცული ერთის მხრივ კერძო საწარმოში მართვა არ ჰგავდეს ბიუროკრატიულ მმართველობას და მეორეს მხრივ უკონტროლობამ არ გამოიწვიოს ქაოსი, აღნიშნული მოწესრიგების გარეშე სამეწარმეო სუბიექტები ვერ შეძლებდნენ კერძო ბიზნესის განვითარებას და სამეწარმეო სუბიექტის მიერ მიღებული ისეთი სიკეთეები, როგორცაა საკუთრება, ეკონომიკა, გადასახადები და დასაქმება ვერ იარსებებდა იმ ფორმით რა ფორმითაც დღეს კერძო საწარმოებს გააჩნიათ,

თუმცა არსებულის შენარჩუნება მხოლოდ ვერ იქნება გრძელვადიანად ეფექტიანი, რადგანაც ცვლილებები რომელსაც გლობალიზაცია და სწრაფი ბრუნვა იძლევა გვაიძულებს ვიყოთ ეფექტიანები და ეკონომიურები რესურსების და ფინანსების ხარჯვაში და ამასთან ამ მიზნის მიღწევა და დაცულობა შესაძლებელია სამართლებრივ სახელმწიფოში ძლიერი კორპორაციული მართლწესრიგის ჩამოყალიბების გზით.

იმისთვის რომ, სამეწარმეო სუბიექტის წარმატების ფორმულა ამოიხნას მსოფლიოში წარმატებული ქვეყნების მიხედვით, ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოშიც მმართველთა შესაძლებლობებზე და კომპეტენციებზე როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე დამკვიდრებული პრაქტიკის ან ტრადიციების მიხედვით, ამასთან რომ შევძლოთ მეტი შევთავაზოთ ინვესტორებსა და კონტრაქტებს, ეს მეტი კი რისკების მინიმუმამდე დაყვანაზე, ეფექტიან სასამართლო გადაწყვეტილებებზე და ძლიერ საკანონმდებლო ბაზებზეა დამოკიდებული.

უფრო მეტიც, სამეწარმეო სუბიექტების ეფექტიანი და წარმატებული მართვის მოთხოვნილებამ აუცილებელი გახადა რიგი საკანონმდებლო რეგულაციის არსებობა, სწორედ ეს არის შემთხვევა როცა ბიზნესი კარნახობს სახელმწიფოს რა რეგულაციები უნდა შემოიღოს, რომ გაუმჯობესდეს და ეკონომიურად მზარდი გახდეს სახელმწიფო - ბიზნესის მეშვეობით.

საკითხავია ის , ისწავლეს თუ არა რაიმე პოსტ-საბჭოთა ქვეყნების კანონმდებლებმა სოციალისტური წარსულიდან და რა მივიღეთ დღეს?

კორპორაციული მართვის კულტურის დამკვიდრების პროცესში არსებობს უამრავი ისეთი პრობლემა და გამოწვევა, რომელთა გაანალიზება და შეფასება მიგვიყვანს სწორ გადაწყვეტებამდე.

სახელმწიფოს განვითარების ხერხემალი მისი ეკონომიური გამართულობაა, რომელიც სამეწარმეო სუბიექტთა მიღწევებით და ადგილით განისაზღვრება სახელმწიფოში.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ასევე, საწარმოთა ტიპები საქართველოში, მათი განვითარების შესახებ აქტუალური საკითხები, რომელი საწარმო იძლევა და რომელი არა დასახული მიზნის მიღწევის საშუალებას მათი მმართველობის სტილიდან გამომდინარე,

ეკონომიკური განვითარების მეტ რესურსს და რა სირთულეები აქვთ ამ საწარმოთა დამფუძნებლებს , როცა საკითხი მხოლოდ მის დაფუძნების სიმარტივესთან არ არის დაკავშირებული, ასევე, რა გამოწვევები აქვს ამ მხრივ ქართულ კანონმდებლობას და რა პრაქტიკას ამკვიდრებს ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემა (საერთო სასამართლოების მეშვეობით).

რას ნიშნავს იყოს კეთილსინდისიერი მეწარმე სუბიექტი ერთია, რომელიც რთული და კომპლექსური სისტემაა, გადასახადების გამჭვირვალობა, მოგება/ზარალის შესახებ სრულყოფილი ანგარიში და რაც მთავარია მმართველთა როლის გააზრება, კანონი ავალდებულებს მათ აღნიშნული ადასრულონ, თუ ეს მხოლოდ მათი კეთილი ნების გამოხატულებაა. შეუძლებელია „კეთილსინდისიერების“ პრინციპის დამკვიდრების გარეშე ყოველივე ზემოაღნიშნულზე საუბარი ის თუ როგორ მიიღწევა წარმატება და ა.შ., „კეთილსინდისიერება“ როგორც ფიდეუციური ვალდებულებების აუცილებელი ნაწილი და პასუხისმგებლობის დაკისრების გარდაუვალი მექანიზმი თითოეული მეწარმე სუბიექტის მართვის ორგანოს სამოქმედო გეგმას უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც კანონმორჩილ სუბიექტს რომელსაც მისი მმართველები (ხელმძღვანელი/წარმომადგენელი) წარმოადგენენ უნდა იყოს ამ საწარმოთა მთავარი უპირატესობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ასევე, წარმომადგენლის როლსა და პასუხისმგებლობის ფარგლებზე აქცენტები იმაზე თუ რა როლს თამაშობს კარგ კორპორაციულ მართვაში კეთილსინდისიერი და სანდო წარმომადგენელი, შეფასდება საწარმოს ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა მხრიდან სამეწარმეო სუბიექტის მართვის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და მათი გავლენები სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაზე.

Resume

This paper / work deals to the functions and competencies of Managers and Representatives for the management and operation of an entrepreneurial entity in Georgia, the importance of their proper distribution and the necessity to establish good corporate governance, as the goal of corporate governance is effective enterprise management and the regulation of this one ensures the success of entrepreneurial entities. The role of Entrepreneurs - managers / representatives of the business entity largely determines the success of business in the country and the successful business creates the country's economic benefits, the connection is continuous from the establishment of the entrepreneurial subject - until its achievement, which requires the regulation of such issues in the legal state, which will increase the responsibility of the managers of the enterprise and first of all based on their proper distribution, the results are achieved within the Enterprise and then it ensures proper legal or economic communication with the outside of state and the third parties. According to the most common definition, corporate governance is the system through which there is exercised community leadership and control. Effective management of the enterprise is directly related to the existence of managers and representatives, properly distribute their role so that the balance will be maintained. From one side the management in a private enterprise will not look like bureaucratic governance and on the other side, uncontrollability will not lead to chaos and without this regulation, entrepreneurial entities would not be able to develop the private businesses and the benefits received by an entrepreneurial entity, such as property, economy, taxes and employment, could not exist in the form, which has to the private enterprises today. However, maintaining the existing one will not be effective in the long term, because the changes which derives from the globalization and fast turnover, forcing us to be efficient and economical within the spending resources and finances, at the same time, this goal can be achieved by establishing the strong corporate law enforcement system in the Legal State. In order to get the formula for the success of the entrepreneurial subject according to the successful countries in the world, there should focus to the capabilities and competencies of the rulers in Georgia, as the legislative level also in accordance with established practices or traditions, at the same time, if we want to offer more to the investors and

counterparties, this is depended to the effective court decisions , strong legislative bases and minimizing risks. Moreover, the need for efficient and successful management of entrepreneurial entities has necessitated the existence of a number of legislative regulations and this is the case, when business dictates to the State what regulations need to be introduced to improve and economically grow the state - through business. The main question is, have the legislators of any post-Soviet country learned anything from the socialist past and what have we achieved today? There are many problems and challenges in the process of establishing the corporate governance culture, and their analysis and evaluation will lead us to the right solutions. The backbone of the development of the state is its economic viability, which is determined by the achievements and place of entrepreneurial entities in the state. In this present paper/work will also discuss the types of enterprises in Georgia, current issues related to their development, which enterprise allows and which does not achieve the set goals based to their governance style, more resources of economic development and what difficulties does the founders have, when the issue is not only related to the simplicity of its establishment, what challenges have to Georgian legislation in this regard and what practice has of the country's justice system (through the Common courts). What it means to be a conscientious entrepreneur, it is complicated and complex system, the transparency of taxes, the perfect profit / loss account and the most importantly, to analyze the role of managers, the law obliges them to enforce the mentioned issue, if it is only an expression of their good will. It is impossible to talk about all the above without establishing the principle of "good faith", how the success is achieved, etc. The "good faith", as necessary part of the fiduciary obligations and the inevitable mechanism of imposing liability, should represent the action plan of the management body of each entrepreneurial entity , because the law-abiding entity represented by its managers should be the main advantage of this enterprise. Therefore, it is also important to focus on the role and responsibilities of the representative, about what role does the bona fide and trustworthy representative play in good corporate governance. There will assessed the shortcomings in the management process of the entrepreneurial entity by the heads and representatives of the Enterprise and their impacts on the stability of civil turnover.

სარჩევი

I. შესავალი.....	გვ 9
II. სამეწარმეო სუბიექტის ცნება და მართვის ორგანოების მიმოხილვა	
2.1. სამეწარმეო სუბიექტის ტიპები და დაფუძნების ზოგადი წესები ევროკავშირის დირექტივებთან მიმართება.....	გვ 12
2.2. სამეწარმეო სუბიექტის მართვის ორგანოების ჩამოყალიბება და კორპორატიული მართვის ზოგადი წესები.....	გვ 17
III. ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა როლი და მნიშვნელობა მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით	
3.1. პარტნიორები, სხვა მმართველ პირთა როლი და ზოგი თავისებურებანი მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით.....	გვ 21
3.2. დირექტორთა, სხვა წარმომადგენელთა როლი და ზოგი თავისებურებანი მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით.....	გვ 28
IV. სამეწარმეო სუბიექტის მმართველთა - ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობების საფუძვლები	
4.1. დირექტორების პასუხისმგებლობის ფორმები, ფიდუციური მოვალეობები.....	გვ 34
4.2. სამეწარმეო სუბიექტის - პარტნიორების/აქციონერების პასუხისმგებლობის ფორმები, გამჭოლი პასუხისმგებლობა.....	გვ 43
V. საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა	
5.1. სამეწარმეო სუბიექტის წარმომადგენელთა მიმართ არსებული სასამართლო პრაქტიკა.....	გვ 50
5.2. სამეწარმეო სუბიექტის ხელმძღვანელთა მიმართ არსებული სასამართლო პრაქტიკა.....	გვ 54
VI. დასკვნა.....	გვ 62
გამოყენებული ლიტერატურა.....	გვ 66

I. შესავალი

მეწარმეთა შესახებ კანონის მიღებამ საქართველოში, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წელს შექმნა სამეწარმეო სუბიექტთა შესახებ სამართლებრივი მოწესრიგების მნიშვნელოვანი ასპექტები, რაც ასევე მათ ორგანიზაციულ -სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებას და ამომწურავ კლასიფიკაციას გვთავაზობს. საქართველოს უზენაესი კანონი „საქართველოს კონსტიტუცია“ კი აღიარებს და უზრუნველყოფს (მული 19.1 და მუხლი 26.4) „საკუთრების უფლების“ დაცვასა და „თავისუფალ მეწარმეობას“ საქართველოში, აღნიშნული დანაწესი კი პირდაპირ აღიარებს და იცავს სამეწარმეო სუბიექტის როგორც მნიშვნელოვანი უფლების მატარებელი პირის უფლებებს, მეწარმე სუბიექტის სტატუსს და მის სამოქალაქო ეკონომიკურ ბრუნაში თავისუფალ მონაწილეობას. სამეწარმეო სუბიექტის უფლებებსა და გარანტიებზე მიუთითებს ასევე, სსკ-ის ნორმები, რომელიც არეგულირებს და ავსებს სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთად მეწარმე სუბიექტის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების წესებს. ყოველივე ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციების შექმნამ საქართველოში, ხელი შეუწყო კერძო საკუთრების უფრო მეტად დაცვასა და განვითარებას ქვეყანაში, რაც ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაშიც გამოხატა თანდათან. მნიშვნელოვანი და გარდამტეხი იყო სამეწარმეო სუბიექტის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით შექმნის და დაფუძნების წესის დადგენა, რეესტრის წარმოება და მათი ერთად თავმოყრა სამეწარმეო რეესტრში. უნდა აღინიშნოს, რომ პოსტ საბჭოთა ქვეყნებში მარტივი არ იყო კერძო საკუთრების უფლების ჩამოყალიბება და კერძო ბიზნესის შექმნა, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი რესურსებით მეწარმეების განვითარება, რომელიც სრულად იქნებოდა დამოუკიდებელი როგორც ფინანსურად, ასევე მართვის პროცესში მისი ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლების შესაძლებლობებზე გაავლებდა ზღვარს, მათ გაუჩნდათ შესაძლებლობა, სამეწარმე სუბიექტის ერთობის ქვეშ კერძო საკუთრების რეგისტრაციის და ნაცვლად სახელმწიფო საწარმოებიდან საკუთარ კერძო საწარმოებში დასაქმების და აქტივების დამოუკიდებლად შექმნის. სიახლეს არ წარმოადგენს, ის რომ ქართული სამართლებრივი რეგულაციები ისევე, როგორც ჩვენი სახელმწიფო უძველესია და

მრავალ საუკუნეს ითვლის, უამრავი ისტორიული წყარო გვხვდება რომელიც მოგვითხრობს ქვეყანაში სამართლის მომწესრიგებელ ნორმათა არსებობაზე დავით აღმაშენებლის „რუის-უბნისის ძეგლის წერა“ (1103 წ), ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული და უამრავი სხვა, რაც საქართველოს როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს კულტურაზე მიუთითებს, თუმცა დროსთან ერთად კანონმდებლობაც უნდა განიცადოს პროგრესი ეს ერთერთი უმნიშვნელოვანესი დაკვეთაა დღეს მოქმედი ბიზნეს სუბიექტების მხრიდანაც. შესაბამისად, გაჩნდა სამეწარმეო კანონმდებლობის შექმნასთან ერთად, მისი მართვის წესები და მონაწილე პირთა სტატუსები როგორცაა ხელმძღვანელი, წარმომადგენელი, პროკურისტი, სავაჭრო წარმომადგენელი, სამეთვალყურეო საბჭო და სხვა .

წინამდებარე ნაშრომში დეტალურად იქნება თითოეული პირის სტატუსი და მნიშვნელობა განხილული, სამეწარმეო სუბიექტი არ წარმოადგენს ერთი შეხედვით მხოლოდ მარტივად რეგისტრირებულ სუბიექტს საიდენტიფიკაციო ნუმერაციით, მნიშვნელოვანი და წარმართველია მის შიგნით მმართველობითი წესები, ამ წესების ნაწილი კანონით რეგულირდება, ნაწილზე კი თავისუფლებას სამეწარმეო სუბიექტის დამფუძნებლებს ანიჭებს კანონმდებელი, ამის ნათელი გამოხატულებაა „მეწარმეთა შესახებ კანონში“ არაერთი მითითება „პარტნორთა შეთანხმებაზე“ იგივე „წესდებაზე“ და წინამდებარე კვლევის მიხედვით გამახვილდება ყურადღება კანონით წარმოშობილი უფლება/მოვალეობებსა და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დადგენილ წესებზე. რიგ შემთხვევებში დაუწერელი წესებით მოქმედების საყოველთაო პრინციპები რა გავლენას ახდენენ საწარმოთა მართვაზე და შემდგომ კონკრეტული მაგალითების საფუძველზე იქნება ასევე განხილული ეს წესები და ის საკითხი თუ როგორ ასახვას ჰპოვებს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებში. პრობლემურია სამეწარმეო სუბიექტში, წარმომადგენელთა უფლებამოსილების ფარგლები, რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს უფლებამოსილების გადაჭარბებას და ამით კონტრაჰენტთა და მათ შორის საწარმოში არსებულ პარტნიორთა ინტერესებისთვის ზიანის მიყენებას როგორც ფინანსური, ასევე რეპუტაციული ხასიათის. რთულადაა საქმე, ასევე როცა საწარმოში პარტნიორის, როგორც

მმართველი პირის მიერ ხდება მისი უფლებების ბოროტად გამოყენება, საწარმოს განზრახ ან განუზრახველად მისი ინდივიდუალური შეხედულებისამებრ მართვა, იმთავითვე პარტნიორებს გათავისებულებული უნა ჰქონდეთ საწარმოო პარტნიორობის და საკუთრების აზრი, რითი განსხვავდება ინდივიდუალური საკუთრების მართვა /განკარგვისგან. სამეწარმეო სუბიექტის მართვა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ჩართული პირების/სუბიექტების მიერ მნიშვნელოვანია მაღალი სანდოობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით ხორციელდებოდეს, რადგანაც უფლება, რომელიც პირს გააჩნია არ ნიშნავს თავნებობას, თავნებობას სხვების საზიანოდ და საწარმოს მართვის ეფექტიანობის შესამცირებლად, ამ მხრივ შესაძლოა ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა სრულყოფილად ვერ აწესრიგებს რიგ საკითხებს და მათი ეფექტურად გადაჭრის გზებს არ იძლევა.

ამდენად, მნიშვნელოვანია მმართველ პირთა უფლებამოსილების ფარგლების დადგენა, გარდა კანონით სავალდებულო დანაწესისა, თუ როგორ არის თვითონ სამეწარმეო სუბიექტის მმართველების მიერ დარეგულირებული წესდებით დებულებით თუ სხვა დოკუმენტით და რა პრაქტიკა გვაქვს ამ მიმართულებით, რადგანაც ეს პირდაპირ კავშირშია საწარმოში სწორი მმართველობის პრაქტიკის დამკვიდრებასთან, რაც გულისხმობს ხმის მიცემის წესს, ქონების განკარგვის წესს, დირექტორის ან სხვა წარმომადგენლის ხელისმოწერის და გადაწყვეტილების მიღების უფლებას და სხვა მმართველ ორგანოთა გადაწყვეტილებების მიღების წესთან, რადგანაც რიგ შემთხვევებში ამ ურთიერთობაში ჩართული პირები არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას და დოკუმენტაციას, როგორ უნდა მოწესრიგდეს მსგავსი საკითხები, ასევე არაერთგვაროვანი პრაქტიკა მარეგისტრირებულ ორგანოსთან ურთიერთობის დროს რა რისკების მატარებელია მეწარმე სუბიექტისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკითხების დეტალური ანალიზი კი გასცემს თემის ირგვლივ დასმულ კითხვებზე პასუხს და საწარმოს (სამეწარმეო სუბიექტის) მართვის სუბიექტებს შესაძლებლობას იმოქმედონ გულისხმიერად და პირადი პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტით.

II. სამეწარმეო სუბიექტის ცნება და მართვის ორგანოების მიმოხილვა

2.1. სამეწარმეო სუბიექტის ტიპები და დაფუძნების ზოგადი წესები ევროკავშირის დირექტივებთან მიმართება

სამეწარმეო სამართლის ჩამოყალიბებამ საქართველოში განვითარების სხვადასხვა ეტაპები განვლო, პირველი საწყისები, როგორც კორპორაციული მართვის მოდელების შესახებ აღებულ იქნა გერმანიიდან და ავსტრიიდან, შემდგომ კი ამერიკული სამართლის რეგულაციებით იქნა გაჯერებული.

როგორც ცნობილია, არსებობს ორი ძირითადი განსხვავება კონტინენტური

ევროპის სამართლისა და საერთო სამართლის იურისდიქციებს შორის: საერთო სამართალი, განსხვავებით კონტინენტური ევროპის სამართლისგან, პრეცედენტული სამართლის პირშემა (წარმოშობილია სასამართლოებიდან), მაშინ, როდესაც კონტინენტური ევროპის სამართალი წარმოიშვა რომანული სამართლიდან.¹

კონტინენტური სამართლის ქვეყნები ახდენენ თავიანთი კანონმდებლობის კოდიფიკაციას იმისათვის, რომ მიაღწიონ მის ერთიან გამოყენებას.

ეს მიდგომა არ გვხვდება საერთო სამართლის ქვეყნებში.² კორპორაციის ცნება კონტინენტურ სამართალში, ერთის მხრივ, ფართოა ვიდრე ანგლოსაქსურში: მასში იგულისხმება პირთა ისეთი გაერთიანებები, რომლებიც აშშ-ს და ინგლისის სამართლის მიხედვით ან საერთოდ არ მიიჩნევა კორპორაციად, ან პრაქტიკაში არ არსებობენ (მაგალითად, ამხანაგობა). მაგრამ მეორეს მხრივ, ვინაიდან კორპორაციების რიცხვს, თუნდაც საჯაროსაც, ანგლოსაქსურ სამართალში მიეკუთვნება ასევე ისეთები, რომლებიც კონტინენტურ ევროპაში საერთოდ არ მიიჩნევა იურიდიულ პირად და შესაბამისად კორპორაციად. საუბარია მმართველობითი საქმიანობით დაკავებულ სახელმწიფო ორგანოებზე. ამრიგად, კონტინენტური სამართლის

¹ ნინო ბაქაქური, მარტინ გელტერი, ლაშა ცერცვაძე, გიორგი ჯუღელი რედაქტორი - ასოცირებული პროფ., სამართლის დოქ. ლაშა ცერცვაძე LL.M., M.B.A., ოქტომბერი, 2019, საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის, - გვ.18

² Gordley James, von Mehren, Arthur Taylor, შესავალი კერძო სამართლის შედარებით სწავლებაში, Cambridge University Press, Cambridge, 2006, გვ.3

სისტემაში კორპორაციის იურიდიული ფორმები გამოირჩევა მეტი მრავალფეროვნებით, ვიდრე საერთო სამართლის სიტემაში.³

საქართველოში სამეწარმეო სამართლის განვითარებამაც ბუნებრივია ევოლუციის თავისებური გზები განვლო, ყველაფერი კი, 1994 წელს მიღებულმა მეწარმეთა შესახებ კანონმა უზრუნველყო მეწარმე სუბიექტების კლასიფიკაცია და მართვის წესები, გავლენები კი რათქმაუნდა გერმანული სამართლის წესებიდან აიღო, გავლენების კვადაკვალ კანონმა ცვლილებებიც მოითხოვა და უკვე 1999 წელს და 2005 წელს მიღებულმა ცვლილებებმა ამერიკული სამართლის რიგი წესები გაიმეორა, ამიტომაც ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ქართული კანონმდებლობის ეს ელემენტი ითვალისწინებს აშშ-ის კორპორაციების შესახებ კანონის გამოცდილებას.⁴

შესაძლოა ითქვას, რომ მეწარმე სუბიექტთა საქმიანობის მიმართ სახელმწიფოს მიდგომა, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრიდანვე იწყება.

მეწარმე სუბიექტების ფორმებთან დაკავშირებით ევოლუციას რომ გადავხედოთ ასე გამოიყურებოდა: ინდივიდუალური საწარმო; სრული სამეურნეო ამხანაგობა; შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; ერთი პირის საწარმო; დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება; სააქციო საზოგადოება; სახელმწიფო საწარმო; ადგილობრივი მუნიციპალური საწარმო; საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო.⁵ სამეწარმეო საქმიანობის წარმოებისთვის იურიდიული პირის სტატუსი აუცილებელი არ იყო. სახელმწიფო კონკრეტულ მეწარმე სუბიექტებს იურიდიული პირის ფორმით დარეგისტრირებას არ ავალუბდა. აღსანიშნავია, რომ კანონი სამეწარმეო საქმიანობის უფლებას მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს ანიჭებდა, ხოლო

³ შედარებითი საკორპორაციო სამართალი:ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისსაკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი — 2013 წელი, მკვლევარი: სამართლის მაგისტრი, დიმიტრი კარუნა, 46 გვ -47 გვ.

⁴ ჭანტურია ლ. , კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა კორპორატიულ კანონმდებლობაში, „სამართალი“, თბილისი, 2006, გვ.168

⁵ samewarneo saqmianobis safuZvlebis Sesaxeb~ saqarTvelos respublikis kanonis me-11 muxli, 25.07.1991 Zaladakargulia, 28.10.1994) me-11 muxli.

სხვა ქვეყნის მოქალაქეს ან და იურიდიულ პირს მეწარმეობის დასაწყებად სახელმწიფოს ნებართვა სჭირდებოდა.⁶

დღეს არსებული კანონმდებლობით უცხოეთის მოქალაქეზე ვრცელდება ის წესები რაც ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაშია გათვალისწინებული.

მეწარმეთა შესახებ კანონში უკანასკნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 2008 წელს. კანონმდებელმა ორსაფეხურიანი საკორპორაციო სამართლის სისტემა შეცვალა შერეული, ორსაფეხურიანი და ერთსაფეხურიანი კორპორაციული მართვის ელემენტებით.

მნიშვნელოვან მოვლენას მეწარმეთა შესახებ კანონის ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით წარმოადგენს - 2014 წლის ივნისში ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც 2016 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში. შეთანხმების მიხედვით, საქართველოს საკორპორაციო სამართალი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის საკორპორაციო სამართლის დირექტივებთან.⁷

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ საწყის მუხლებშივე განმარტავს, რომ არეგულირებს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს და რა მიიჩნევა სამეწარმეო საქმიანობად და რა შემთხვევაშია სუბიექტი ვალდებული გაიაროს რეგისტრაცია მეწარმეთა შესახებ რეესტრში. სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნეულია მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც განხორციელების მიზანსაც მოგება წარმოადგენს , მიზნის დადგენის შემდგომ , საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონი ამომწურავად გვთავაზობს მეწარმე სუბიექტების კლასიფიკაციას: „ მუხლი 2. მეწარმე სუბიექტები და მათი დაფუძნება 1.მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს),კომანდიტური საზოგადოება(კს),შეზღუდული

⁶ samewarneo saqmianobis safuZvlebis Sesaxeb~ saqarTvelos respublikis kanonis me-11 muxli, 25.07.1991 (Zaladakargulia, 28.10.1994), me-17 muxli.

⁷ ნინო ბაქაქური, მარტინ გელტერი, ლაშა ცერცვაძე, გიორგი ჯუღელი რედაქტორი - ასოცირებული პროფ., სამართლის დოქ. ლაშა ცერცვაძე LL.M.,MLB ოქტომბერი, 2019, საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის, - გვ.37.

პასუხისმგებლობის საზოგადოება(შპს),სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი“.⁸

საწარმოთა რეგისტრაციის წესი, ერთის მხრივ წინგადადგმული ნაბიჯი იყო, როგორც საქართველოში ასევე სხვა ქვეყნებში, მაგრამ მათი აღრიცხვის წესი არ ამოწურავს ქვეყნების მიმართ მაღალი სტანდარტით შეფასების საკითხს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ განაზღვრული დირექტივების გააზრება და გათვალისწინება ქართულ კანონმდებლობაშიც. ევროკავშირის სამართალში ორი დირექტივა ეხება კომპანიის დაფუძნებას: ა) დირექტივა საჯაროობის შესახებ⁹ რომლის უფრო ძველი ვერსია ცნობილი იყო როგორც საკორპორაციო სამართლის პირველი დირექტივა, ეხება გამჟღავნების საკითხებს, კომპანიის ვალდებულებების ნამდვილობის, ისევე როგორც კომპანიის გაუქმების საკითხებს და ბ) დირექტივა კაპიტალის შესახებ · საბჭოს მესამე დირექტივა, 13 დეკემბერი 1976, 1977 O. J. (L 26) 1. მოხდა დირექტივის რეკოდიფიკაცია როგორც დირექტივისა – 2012/30/EU, 2012 O. J. (L 315) 74.¹⁰ ქართულ კანონმდებლობაში მეწარმე სუბიექტთა რეგისტრაციისთვის, რომელიც ევროკავშირის დირექტივის მიხედვით საჯაროობის წესს გულისხმობს გამოიხატება იმაშიც, რომ მისი რეგისტრაციის დროს და შემდგომაც მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელებზე და წარმომადგენლებზე ინფორმაციები და დოკუმენტაციები სრულად ღია და საჯაროა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მათი რეგისტრაციის, შემდგომში ცვლილებების, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან წარმომადგენელთა უფლებამოსილების ფარგლების ცვლილების (შეზღუდვის ან მინიჭების) შესახებ დოკუმენტაცია იდება იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე(<https://napr.gov.ge/>), რაც ასევე

⁸ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ , დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994 , - 1 გვ.

⁹ (დირექტივა 2009/101/EC, 2009 O. J. (L 258) 11.)

¹⁰ ნინო ბაქაძური, მარტინ გელტერი, ლაშა ცერცვაძე, გიორგი ჯუღელი რედაქტორი - ასოცირებული პროფ., სამართლის დოქ. ლაშა ცერცვაძე LLM.,MLB ოქტომბერი, 2019, საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის, - გვ.53

მნიშვნელოვანია მესამე პირთა ინფორმირებულობისთვის თუ კონტრაქტთა ინტერესების დაცვასთვის.

ევროკავშირის დირექტივის დაცვის საგანს წარმოადგენს ასევე ე.წ. „წინარე საწარმოების“ საკითხი, სწორედ ამიტომ, რეგისტრაციასთან დაკავშირებული ვალდებულებები ჯერ კიდევ დარეგისტრირებამდე არსებულ სამართალურთიერთობებსაც შეეხო, რაც საქართველოშიც გაითვალისწინა კანონმა მეწარმეთა შესახებ შემდგი სახით: სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, რეგისტრაციამდე წარმოშობილ ვალდებულებებზე კი, რომელიც შესაძლოა საწარმოს დამფუძნებლებს გააჩნდეთ აკისრებს პირად და პერსონალურ პასუხისმგებლობას“.¹¹ რაც ევროკავშირის დირექტივის მიხედვითაც თანხვედრაშია და მოიცავს რეგისტრაციამდე არსებული ვალდებულებისთვის პერსონალურ და სოლიდარულ პასუხისმგებლობას საწარმოს დამფუძნებლების მიერ, რაც მათ არ ათავისუფლებთ კომპანიის დაფუძნებამდე ნაკისრი ვალდებულებებისგან და არ აღჭურავთ მესამე პირთა ინტერესებისთვის ზიანის მიყენების უფლებით. შემდგომ და მნიშვნელოვან კომპონენტს ევროპული დირექტივის მიხედვით წარმოადგენს „კაპიტალის“ შესახებ დაწესებული მოთხოვნები, სამეწარმეო სუბიექტის რეგისტრაციისთვის ქართულ კანონმდებლობაში საწესდებო კაპიტალთან მიმართებაში თავისუფალი მიდგომაა ¹² მთავარი ყურადღება და აქცენტი გადატანილია მეწარმე სუბიექტის გამარტივებულ და დროში ეფექტურ - სწრაფ რეგისტრაციაზე. კაპიტალის არსებობის მნიშვნელობის უპირატესობის მტკიცება არც ისე რთულია, რადგანაც ეს არის ის მინიმალური შესაძლებლობა, რაც

¹¹ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ , დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი 2.2

¹² საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ , დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი 5

სამეწარმეო სუბიექტებთან სამართალურთიერთობაში მყოფი პირების რისკებს მეტად დააზღვევდა. ევროპული სახელმწიფოებიდან მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ გერმანიის კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაცია კაპიტალთან მიმართებით, სადაც კომპანიის დაფუძნებისთვის საწესდებო კაპიტალის არსებობის ვალდებულებაა გათვალისწინებული, ეს არის ის აუცილებელი მინიმუმი რის გარეშეც სამეწარმეო სუბიექტი ვერ დარეგისტრირდება მარეგისტრირებელ ორგანოში. ის მოდელი, რომელიც საქართველომ აირჩია მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციასთან და ფორმებთან დაკავშირებით არ იმეორეს ზუსტად არც ერთი ქვეყნის მოდელს, თუმცა სასურველია ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინება და დანერგვა სრულად, რომელიც სხვა წარმატებული ქვეყნების გამოცდილების მაგალითებზეა შექმნილი და აგებული.

2.2.სამეწარმეო სუბიექტის მართვის ორგანოების ჩამოყალიბება და კორპორატიული მართვის ზოგადი წესები

სამეწარმეო სუბიექტის რეგისტრაცია იწყება მისი მართვის ორგანოების ფორმირებით, რომლებიც შემდგომ უზრუნველყოფენ შესაბამისი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, განვრცობას და შესაბამისი დებულებებით თუ შიდა განაწესებით დარეგულირებას, რაც ქმნის სწორედ იმ პირველ საწყისებს, რომელიც უზრუნველყოფს მეწარმე სუბიექტის კორპორაციულ მართვას. კორპორაცია(ძველ ლათინურში **corporatio** გაერთიანება)განისაზღვრება როგორც:„1. გაერთიანება, კავშირი, საზოგადოება, ხოლო კორპორატიული მართვა შეგნებული მართვაა, რომელსაც კორპორაციაში საგანგებოდ შექმნილი ორგანოები ახორციელებენ.აღნიშნული ორგანოები კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად იქმნება და კანონმდებლობითვეა დადგენილი მათ შორის კომპეტენციის გამიჯნვა. ამიტომ კორპორატიული მართვა, ეს პირველ რიგში კანონისა და კანონის შესაბამისად მიღებული კორპორაციის შიდა დოკუმენტების საფუძველზე განხორციელებული მართვაა, ამასთან, იურიდიული პირი სამოქალაქო უფლებებს იძენს და ვალდებულებებს კისრულობს თავისი

ორგანოების მეშვეობით.¹³ 2.რაიმე მიზნის მისაღწევად გაერთიანებული პირთა ერთობლიობა, წარმოადგენს იურიდიულ პირს“. „კორპორაციის“ ინსტიტუტი განიხილებოდა, როგორც იურიდიული პირის სინონიმი. ამ უკანასკნელის გარკვეული დამახასიათებელი ნიშნები წარმოიშვა ძველი რომაელი იურისტების და რომაული universitas (corpus-კორპორაცია) კონსტრუქციის წყალობით. ¹⁴ მნიშვნელოვანი კორპორაციული მართვის ელემენტია მისი ხელმძღვანელები და წარმომადგენლები.კორპორაციული მართვის უმნიშვნელოვანესი ასპექტი სწორედ იმის კვლევაა, თუ როგორ, რა დონეზე უნდა მოხდეს მონაწილეთა უფლებებისა და ვალდებულებების განცალკევება და რომელი მხარის ინტერესების დაცვა უნდა ჩაითვალოს უპირატესად.¹⁵ კორპორაციულ მართვაში-მმართველთა როლთან და სტრუქტურასთან დაკავშირებით „საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონი“ დიდ თავისუფლებას ანიჭებს საწარმოს დამფუძნებლებს მის განსაზღვრაში, აღნიშნული კანონის სრულყოფილად გაცნობის შემდგომ შესაძლოა გაკეთდეს შემდეგი დასკვნა გათვალისწინებულია კორპორაციული მართვის შესახებ მინიმალური და მარტივი რეგულაციები, რადგანაც მითითება კანონში იმის შესახებ „თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით)“ სხვა რამ არ არის დადგენილი -პარტნიორებს(აქციონერებს) აღჭურავს უფლებით დამოუკიდებლად შექმნან როგორც მართვის ორგანოები, ასევე განსაზღვრონ მათი მართვის სტრუქტურა. „მეწარმეთა შესახებ კანონი“-ს მუხლი3, პუნქტი⁴1 „პარტნიორები დებენ შეთანხმებას(წესდებას),რომლის საფუძველზედაც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები“. მეწარმეთა შესახებ კანონის მუხლი5, პუნქტი 3 ადგენს, რომ:„სარეგისტრაციო განაცხადის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, თუ უფლებამოსილი პირები მას ხელს მარეგისტრირებელ

¹³ შედარებითი საკორპორაციო სამართალი:ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისსაკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი — 2013 წელი, მკვლევარი: სამართლის მაგისტრი, დიმიტრი კარუნა, 57 გვ. ,80 გვ.

¹⁴ Функ Я.И. и др. Акционерное общество: История и теория: (Диалектика свободы). Минск, 1999. გვ. 157

¹⁵ Alam A. Shah S., Corporate Governance and its Impact on Firm Risk, International Journal of Management, Economics and Social Sciences, 2.2., 2013, 76-98. და Marshall S. Ramsay I., Stakeholders and Directors' Duties: Law, Theory and Evidence, UNSW Law Journal, 35.1., 2012, 291-316.

ორგანოში აწერენ ან იგი დადგენილი წესით დამოწმებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ხელმოწერის დამოწმების წესი და პირობები განისაზღვრება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით“. ყოველივე ზემოაღნიშნული კი იძლევა იმ შედეგს, რომ მხარეები წარადგენენ მინიმალური წესით შედგენილ სარეგისტრაციო დოკუმენტს მმართველი პირებისა, წილებისა და ხმის უფლების განაწილების შესახებ, რაზეც, კვალიფიციური პირი არ მუშაობს და არ განუმარტავს სამეწარმეო სუბიექტის დამფუძნებლებს საწარმოს ძირითადი დოკუმენტის მნიშვნელობას და მართვის ორგანოთა კომპეტენციებს, ასევე ისეთ საკითხებს, როგორცაა წარმომადგენლების ფუნქციების ზუსტი იდენტიფიკაცია და მათი როლი საწარმოს მართვაში და ის პასუხისმგებლობები რაც შესაძლოა არაგულისხმიერი ან არაკეთილსინდისიერი ქცევის შედეგად დადგეს. ამდენად, სამეწარმეო სუბიექტების რეგისტრაციის სიმარტივემ და რთული სანოტარო ფორმის გაქრობამ კანონიდან, როგორც დოკუმენტების დამოწმების და უტყუარობის ფუნქციის მატარებელმა პრეზუმფციამაც დაკარგა მნიშვნელობა, ის უპირატესობა რაც, ნოტარიუსის როგორც იურიდიული მრჩეველის როლის ამორიცხვამ განაპირობა სხვა მიზეზებთან ერთად, რატომაც კორპორაციული მართვის სტრუქტურის მრავალფეროვნება მდორედ ვითარდება. აღნიშნულმა კი, ბევრი ისეთი ფაქტის წინაშე დააყენა მხარეები, რომლის გადაჭრის გზები მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით არის შესაძლებელი მოიძებნოს. ამდენად, კანონით გათვალისწინებული მინიმალური მართვის ორგანოების სტრუქტურამ და მმართველობის წესებმა, რაც კორპორაციული მართვის დიდ მრავალფეროვნებას ნამდვილად არ განაპირობებს ჩამოაყალიბა სამი მნიშვნელოვანი ორგანო: ა) მესაკუთრეებისგან (პარტნიორებისგან), ბ) წარმომადგენლებისან (დირექტორებისგან) და გ) მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მაკონტროლებელი ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოსგან) შედგება. წარმომადგენლის თეორია ემსახურება იმას, რომ ამ ფარგლების დადგენისას უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ძირითადი ხელმძღვანელი ორგანოს, დირექტორთა საბჭოს მიერ აქციონერთა ინტერესების

მაქსიმალურად დაცვა.¹⁶ კომპანიის კონტროლი განიმარტება როგორც საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრი.¹⁷ იგი მოიცავს სტრატეგიული მნიშვნელობისა და შორსმომავალი პერსპექტივების მქონე საკითხების და გეგმარებას, ასევე საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების მენეჯმენტსა და სხვა. ერთი შეხედვით, ნაკლებად მნიშვნელოვან დეტალებს.¹⁸ „ნებისმიერ საშუალო ან დიდი ზომის კომპანიაში ეფექტური კორპორაციული მართვის განსახორციელებლად აუცილებელია, მოხდეს მესაკუთრეთა და მენეჯერთა უფლებამოსილებების გამიჯვნა“, ¹⁹ ანუ პარტნიორთა და დირექტორთა ან სხვა მმართველობითი ორგანოს უფლებამოსილებების დადგენა - კომპანიის მფლობელებსა და კონტროლს შორის ზღვრის დადგენა, იმისთვის რომ გაერთიანების მიზანი სწორად შესრულდეს და განვითარდეს. „ნებისმიერ საშუალო ან დიდი ზომის კომპანიაში ეფექტური მართვის განსახორციელებლად აუცილებელია, მოხდეს მესაკუთრეთა და მენეჯერთა უფლებამოსილებების გამიჯვნა“.²⁰ ანუ პარტნიორთა და დირექტორთა ან სხვა მმართველობითი ორგანოს უფლებამოსილებების დადგენა - კომპანიის მფლობელებსა და კონტროლს შორის ზღვრის დადგენა, იმისთვის რომ გაერთიანების მიზანი სწორად შესრულდეს და განვითარდეს. კორპორაციული მართვა არა მხოლოდ მისი პირდაპირი გაგებით მართვის ორგანოებს, არამედ კორპორაციული მართვის სწორად განხორციელებასაც მოიცავს. კორპორაციულ მართვაში ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინებულ საკანონმდებლო რეგულაციებთან ერთად დიდ როლი უჭირავს კორპორაციულ დოქტრინებსაც.

¹⁶ Bonazzi L., Islam S.M.N., Agency theory and corporate governance: A study of the effectiveness of board in their monitoring of the CEO, Journal of Modelling in Management, 2.1., 2007, 7-23.

¹⁷ Стрекалова А.А., Второе Поколение Фискального Федерализма, Журнал Human Progress, 2.3., 2016, 1-12.

¹⁸ Namazi M., Role of the agency theory in implementing management's control, Journal of Accounting and Taxation, 5.2., 2003, 38-47. და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი #2, 2017, ბექა ხიტირი, კორპორაციული მართვის თეორიები: სამართლებრივი ანალიზი, 165-166 გვ.

¹⁹ Kral P., Tripes S., Pirozek P., Pudil P., Corporate Governance Against Recommendations: The Cases of the Strong Executive and the Strong Ownership, Journal of Competitiveness, 4.3., 2012, 46-5

²⁰ Kral P., Tripes S., Pirozek P., Pudil P., Corporate Governance Against Recommendations: The Cases of the Strong Executive and the Strong Ownership, Journal of Competitiveness, 4.3., 2012, 46-57

III. ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა როლი და მნიშვნელობა მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით

3.1. პარტნიორები, სხვა მმართველ პირთა როლი და ზოგი თავისებურებანი მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით

საწარმოს პარტნიორთა მართვითი ფუნქციები და ინდივიდუალიზმი კოპორაციული მართვის ძირითად პოლიტიკას განსაზღვრავს, პარტნიორთა კრება წარმოადგენს უმაღლეს მმართველობით ორგანოს, რომელიც აღჭურვილია ისეთი სიკეთეებით, როგორცაა საკუთრება, დივიდენდის მიღების უფლება და სხვა. საკორპორაციო სამართალი, ეს არის ქცევის წესების სისტემა, რომლებიც შემუშავებულია პირებისა და კაპიტალის გაერთიანებებზე დაფუძნებულ ორგანიზაციაში, გამოხატავენ მისი კოლექტივის ნებას და აწესრიგებენ ამ ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა მხარეებს²¹. საწარმოს პარტნიორთა როლი პარტნიორთა კრებებზე ანგარიშების ჩაბარებითა და მოხსენებების მოსმენა-განხილვით მის მაკონტროლებელ ფუნქციასაც უსვამს ხაზს, რაც საწარმოს ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის და აშშ-ს გამოცდილების გაზიარებაც, ასე მაგალითად კორპორაციული მართვის სისტემაში აღიარებულია კონტროლის ორი სახის სისტემა: 1. პრევენციული სახის და 2. შემდგომი რეაქციის მქონე. გერმანიაში არის წინასწარ აღმომჩენი სისტემა ე.წ. პრევენციული კონტროლი, ხოლო აშშ-ში, რადგან სამეთვალყურეო საბჭო არ არის, უფრო დარღვევის შემდგომ ქმედებებზეა საუბარი.²² ქართული კანონმდებლობაში დაახლოებით მსგავსი ფუნქციით არის პარტნიორი აღჭურვილი, რადგან სამეთვალყურეო საბჭო როგორც მაკონტროლებელი ორგანო სავალდებულო არ არის. სამეწარმეო სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს, საკუთარი საკორპორაციო ქცევის ნორმების ჩამოყალიბება და მისი ასახვა დოკუმენტურად. საწარმოს მართვაში პარტნიორთა როლი, რეგლამენტირებულად ვლინდება პარტნიორთა კრებებზე

²¹ Кашанина Т. В. *Корпоративное право*. Учебник. М., 1999. გვ. 59.

²² ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სოფიო მაჭავარიანი „კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში“ თბილისი 2015, გვ.178

მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლებით, პარტნიორთა კრება წარმოადგენს „უმაღლეს მმართველობით ორგანოს“, რომელიც ხმის უფლების გამოყენების მეშვეობით იღებს გადაწყვეტილებებს. ლიტერატურაში პარტნიორები იყოფიან მაჟორიტარ და მინორიტარ პარტნიორებად, აღნიშნული დაყოფა უმეტესად დამოკიდებულია წილის ოდენობაზე, მაგრამ არა მხოლოდ, გადაწყვეტილების მიღებისას პროცესის კონტროლის განხორციელებაზეც, ასეთ შემთხვევაში მიუხედავად წილის ოდენობისა შეიძლება იწოდოს პარტნიორი მაჟორიტარ პარტნიორად. „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“ შედგება ზოგადი ნაწილი და კერძო ნაწილისგან, კერძო ნაწილში თითოეული მეწარმე სუბიექტის დამფუძნებელთა (პარტნიორთა) კომპეტენციების შესახებ მინიმალური რეგულაციებია მოცემული, რაც ძირითადად ხმის უფლებას და წილის ფლობას უკავშირდება. საქართველოში რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების მიხედვით პოპულარულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეგვიძლია ვივარაუდოთ მმართველობის, დაფუძნებისა და პასუხისმგებლობის ფარგლების გათვალისწინებით, აღნიშნულის შესახებ სტატისტიკას ყოველწლიურად აქვეყნებს საჯარო რეესტრი ვებ. გვერდზე, საიდანაც ირკვევა, რომ ლიდერობს „მპს“ რეესტრაცია, ვიდრე სხვა სუბიექტების - სულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ერთეული 2018 წელს რეესტრირებულია - 1777 , 2019 წელს რეესტრირებული სუბიექტია - 1893.²³ მიზეზი შესაძლოა იყოს შემდეგი: შ.პ.ს მართვა ხორციელდება მისი პარტნიორების მიერ, წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა ხმის უფლება ან/და პარტნიორთა შორის მოგების/ზარალის განაწილება არ იყოს მათი წილების პროპორციული, საზოგადოების პარტნიორთა პასუხისმგებლობის ფარგლები, მისი კრედიტორების წინაშე შეზღუდულია და კომპანიის ქონებით შემოიფარგლება. ამასთან, კანონით არ არის აკრძალული საწარმოს დაფუძნება ერთი პირის მიერ, პარტნიორი შესაძლოა იყოს ამავედროულად საწარმოს ხელმძღვანელი/წარმომადგენელი, ასევე საწარმოში მმართველებს - პარტნიორებს აქვს

²³<https://napr.gov.ge/s/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98;>

ვალდებულება მათი კუთვნილი წილის გასხვისების შემთხვევაში უზრუნველყონ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება დანარჩენი პარტნიორებისთვის შეთავაზებით, რაც მეწარმეთა შესახებ კანონით გარანტირებული დანაწესია თუ პარტნიორები განსხვავებულ წესებს არ დაადგენენ წესდებით. ²⁴ პარტნიორთა კრების მეშვეობით გადაწყვეტილების მიღება, საწარმოს მართვის მთავარი ინსტრუმენტია, სწორედ ამ მიზნის შესრულების მიზნით მკაფიოდ და არაოზრავნად უნდა იყოს კრების კომპეტენცია პარტნიორთა შეთანხმებით - „წესდებით“ გათვალისწინებული. დღეს მოქმედი კანონით მეწარმეთა შესახებ ვერ ვიტყვით, რომ კანონი კომპეტენციების ამომწურავი და იმპერატიული რეგულაციებით გამოირჩევა. კანონში არის ორაზროვანი მუხლებიც და მათი მოწესრიგება მხოლოდ საწარმოს პარტნიორებს შეუძლიათ საწარმოს მთავარი დოკუმენტით - წესდებით, საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9¹, „ პარტნიორთა საერთო კრება, პუნქტი 7 ითვალისწინებს, რომ: „ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.“ შესაძლებელია ზოგი რეკომენდაციის გათვალისწინება, იმის გამოსარკვევად რა არის „საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობა“, უნდა მიეთითოს წესდებაში კომპანიის საქმიანობის სფერო, ასე მაგალითად, თუ კომპანია დაკავებულია დეველოპერული საქმიანობით აღნიშნოს დოკუმენტში საქმიანობის შესახებ, რადგანაც მნიშვნელოვანია, რომ არ აირიოს ერთმანეთში საწარმოს წარმომადგენელთა და ხელმძღვანელთა უფლებამოსილებები, არ შეიცავდეს ნების გამოვლენის ნაკლოვანებებს და მესამე პირებისთვის აღნიშნული არ აღმოჩნდეს დამაზიანებელი, აღნიშნული იქნება ქონების მარეგისტრირებელი ორგანო, კომერციული ბანკები თუ სხვა. აღნიშნულის მოწესრიგება საქმის წარმოების დროს ხარვეზების დადგენის სტატისტიკასაც შეუმცირებდა. რაც შეეხება მეწარმე სუბიექტების დაყოფას მათი დამფუძნებლებისა და საქმიანობის ტიპის მიხედვით,

²⁴ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, თავი მესამე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კორპორაციები ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემაში მაგალითად აშშ-ში ყველა კორპორაცია, იყოფა ოთხ ჯგუფად: საჯარო (public), ნახევრად საჯარო (quasi-public), სამეწარმეო (business) და არასამეწარმეო (nonprofit), ასეთ კლასიფიკაციას ქართული მეწარმეთა შესახებ კანონი არ გვთავაზობს. ²⁵ საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონით, საწარმოს დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური პირები, ასევე იურიდიული პირები. სამეწარმეო სუბიექტის დამფუძნებლებად გარდა კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირებისა, საწარმოები შესაძლოა დაფუძნდეს სახელმწიფოს მონაწილეობით და ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, თანხმად - „საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, სახელმწიფო საწარმოებში მიღებული გადაწყვეტილებები განსხვავებით კერძო პირების მიერ დაფუძნებული საწარმოებისგან შესაძლოა ნაკარნახევი იყოს პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე განსხვავებულია ფინანსური რესურსების განხორციელების წესი, სახელმწიფო მის მიერ დაფუძნებულ საწარმოში თვითონვე უზრუნველყოფს შენატანებს და როგორც წესი ასეთი საწარმოების დაფუძნების წესი რომელიმე სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან მომდინარეობს, რომელიც საზოგადოების საჭიროებებით არის ნაკარნახევი. შემდეგი საკითხი, არის არარეზიდენტი პარტნიორის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის) მიმართ წესები, საწარმოს დაფუძნების ან წილის ფლობასთან დაკავშირებით საქართველო საკორპორაციო სამართალი იდენტურ რეგულაციებს ითვალისწინებს, რა წესებიც საქართველოს მოქალაქეების მიმართ ვრცელდება, დამატებითი მოთხოვნა დაწესებულია უცხოეთში გამოცემულ დოკუმენტებზე, მხოლოდ დოკუმენტის ლეგალიზება და აპოსტილით დამოწმების წესთან დაკავშირებით. ²⁶ კორპორაციული მართვის მიზანი,

²⁵ შედარებითი საკორპორაციო სამართალი: ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი — 2013 წელი, მკვლევარი: სამართლის მაგისტრი, დიმიტრი კარუნა, რედაქტორი: პროფ. სამართლის დოქტორი, გიორგი გ. თუმანიშვილი, -39 გვ.

²⁶ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი,

მხოლოდ საწარმოს პარტნიორთა მიერ არ მიიღწევა, ეს რთული და კომპლექსური საკითხია, რადგანაც კორპორაციების წარმატება და მიღწევები მმართველთა რგოლზეა დამოკიდებული და ეს რგოლი რაც უფრო სტრუქტურული და მრავალფეროვანია მით უფრო მიიღწევა საწარმოს მართვის მთავარი მიზანი. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ ითვალისწინებს მმართველთა წრეში შემავალ სხვა ორგანოთა/პირთა მცირე ჩამონათვალს: სამეთვალყურეო საბჭო, აუდიტის კომიტეტი, წილის მმართველი, გამგეობა. აღნიშნულ ჩამონათვალიდან მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო საბჭოს როლი და კომპეტენციები, ამ ორგანოს არსებობა საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონით მხოლოდ საგამონაკლისო სახით არის დაშვებული, მისი სავალდებულოდ არჩევის წესის გაქრობით ქართულმა მოდელმა კიდევ ერთხელ აიღო გეზი ამერიკული საკორპორაციო სამართლისკენ, სწორედ ამიტომ კორპორაციული მართვის ქართული მოდელი სულ უფრო მეტად დაემსგავსა ამერიკულ მოდელს, ამერიკული ბორდი კორპორაციის მართვის ერთადერთი სავალდებულო ორგანოა (გარდა აქციონერთა კრებისა).²⁷ გარდა ამისა, საჯარო ბირჟაზე გასული კომპანიებისთვის 2002 წლის სარბანეს-ოქსლის აქტის § 301 ადგენს საბჭოს აუდიტის კომიტეტის არსებობის მოთხოვნას და მის ვალდებულებებს, რომლებიც შედგება მხოლოდ დამოუკიდებელი დირექტორებისგან.) ხოლო სამეთვალყურეო საბჭო სავალდებულო ორგანო არ არის. არსებითმა მმართველობითმა ფუნქციებმაც დირექტორთა, ანუ ბორდის ხელში გადაინაცვლა, ის ორგანო რომელიც თვითონვე მართვას საკითხავია საკუთარი გადაწყვეტილებების კონტროლზე რამდენად კეთილსინიდიერად იქნება პასუხისმგებელი. რადგანაც, ბორდს აქვს როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე გამგეობის (დირექტორატის) უფლებამოსილება, რაც მას აქცევს კორპორაციის ყველაზე ძლიერ და გავლენიან ორგანოდ. ²⁸ სამეთვალყურეო საბჭოს სავალდებულოდ დანიშვნა საწარმოში

გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი 5, პუნქტი 4

²⁷ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 112;

²⁸ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 112

გათვალისწინებულია შემდეგ შემთხვევებში მხოლოდ: 1. „იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს; 2. თუ სააქციო საზოგადოება არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმო, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა 100-ს აღემატება.²⁹ რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას, შესაძლოა დირექტორთა განთავსუფლების და დანიშვნის კომპეტენციაც გააჩნდეს, სამეთვალყურეო საბჭო, ასევე იმ მნიშვნელოვან მართვაში და გადაწყვეტილების მიღებაში იღებს მონაწილეობას, რც საწარმოს ქონების მართვა-განკარგვის საკითხებს უკავშირდება, ეს უკანასკნელი კი, არც თუ ისე უმნიშვნელო კომპეტენციებია. როგორც პროფ: ლადო ჭანტურია აღნიშნავს, დირექტორების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ნიშნავს არა მხოლოდ საქმიანობის მართლზომიერებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს, არამედ საქმიანობის მიზანშეწონილობისა და ეკონომიურობის (ყაირათიანობის) გაკონტროლებას.³⁰ ამდენად, სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია არ მხოლოდ დირექტორატის მიერ საქმიანობის განხორციელების მართლზომიერებაზე, არამედ მათი საქმიანობის ეფექტიანობაზეც, იმ პერსპექტივით, რომ საწარმომ მაქსიმალური მოგება მიიღოს.³¹ შემდეგი ორგანო, რომელიც სამეწარმეო სუბიექტის მართვაში დამხმარე ორგანოდ შეიძლება მოვიაზროთ, მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით არის აუდიტის კომიტეტი, აღნიშნული ორგანო სიახლეს წარმოადგენს საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით, იგი სამეთვალყურეო საბჭოს მსგავსი ორგანო არ არის, მითუმეტეს, რომ მისი რეკომენდაციების შესრულებაზე ზედამხედველობას არ ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო და მისი ფუნქციებიც მხოლოდ ზედამხედველობას და რეკომენდაციას გულისხმობს დირექტორთა საბჭოსთვის და მიიჩნევა რომ ეს დამატებითი რგოლია, რომელსაც სუსტი გავლენები გააჩნია

²⁹ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი 9.8 და მუხლი 55

³⁰ Grunewald B., Gesellschaftsrecht, 2. Aufl., 1996, იხ. 254-255 (იხ.: ჭანტურია ლ., ნინიძე თ., კომენტარი „მეწარმეთა შესახებ კანონზე“, 2002, თბილისი, 411.

³¹ ჭანტურია ლ., ნინიძე თ., კომენტარი „მეწარმეთა შესახებ კანონზე“, 2002, თბილისი, 411

სამეწარმეო სუბიექტის მართვასთან მიმართებაში. ³² საწარმოს მმართველ პირთა წრეში შეგვიძლია ასევე მოვიაზროთ, „წილის მმართველი“, წილის მმართველი არ არის უბრალოდ მინდობილი პირი ან საწარმოს პარტნიორი, ეს პირი(ები) პარტნიორთა მიერ მიღებული და დაშვებული პირი შეიძლება იყოს და უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი ფუნქციები და კომპეტენციები მასთან დადებული „დავალების ხელშეკრულებით“ უნდა განისაზღვროს საწარმოს სამართავად კრებაზე გადაწყვეტილების მიღების და ხმის უფლებით აღჭურვის შესახებ.³³ საწარმოს მართვა მისი დაფუძნებიდან - ლიკვიდაციის დარულებამდე მთლიანად დამოკიდებულია მმართველების როლზე, აღნიშნულ პროცესს კი გარდა ზემოაღნიშნული პირებისა წარმართავენ ასევე, შემდეგი პირები: „ლიკვიდატორი, მეურვე, რეაბილიტაციის მმართველი, გაკოტრების მმართველი, დროებითი ადმინისტრატორი ან სპეციალური მმართველი.³⁴ აღნიშნული პირები, ინიშნებიან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, მათ შორის შესაძლოა დაინიშნონ სასამართლოს მეშვეობით როგორც „უზრუნველყოფის საშუალება“ და მრავალი ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი ფუნქციით მოხდეს მათი აღჭურვა, მითუმეტეს თუ მათი მიზანი საწარმოს რეაბილიტაციაა, ხოლო თუ ლიკვიდაციაა - უფლებამოსილებები იმგვარად განახორციელონ, რომ ნაკლებად ზიანის მომტანი იყოს ეს პროცესი, როგორც კრედიტორებისთვის, ასევე საწარმოს მესაკუთრეებისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, ცხადყოფს რომ საწარმოს მართვა მისი დაფუძნებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულების ჩათვლით

³² საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი 13

³³ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი 5. 1, დ

³⁴ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი 5¹.3

მრავალკომპონენტია, მისი ორგანიზებული სისტემებით. კორპორაციული ურთიერთობების პასუხისმგებელ სუბიექტებს კი სწორედ მისი ხელმძღვანელები და წარმომადგენლები წარმოადგენენ.

3.2. დირექტორთა, სხვა წარმომადგენელთა როლი და ზოგი თავისებურებანი მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით

წინამდებარე ნაშრომში უკვე განვიხილეთ, საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონმა რა გზა განვლო, გერმანული მოდელიდან ამერიკული მოდელისკენ სვლამ კანონში ბევრი იმპერატიული დანაწესები შეარბილა და სრულად მიანიჭა საწარმოს პარტნიორებს მისი მოწესრიგების უფლებამოსილება, მათ შორის მმართველ ორგანოთა სტრუქტურა, კომპეტენციები და სხვა. სამეწამეო სუბიექტი ქმედუნარიანობას იძენს არა საწარმოს პარტნიორების გადაწყვეტილებით, არამედ წარმომადგენლის განსაზღვრისა და რეგისტრაციის მომენტიდან. წარმომადგენლებს, აშშ-ს საკორპორაციო სამართალი, როგორც ბორდს ისე მოიხსენიებს. ერთსაფეხურიანი კორპორაციული მართვის სისტემისათვის ბორდი კანონით განსაზღვრული ერთადერთი აუცილებელი ორგანოა ³⁵ ტერმინი „ბორდი“ სათავეს იღებს აშშ-ს საკორპორაციო სამართლის სისტემიდან, რომელმაც დროთა განმავლობაში გავრცელება ჰპოვა სხვა ქვეყნების სამართლის სისტემაში. დღესდღეობით ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება საქართველოშიც და მის ქვეშ ყოველთვის მოიაზრება დირექტორ(ატ)ი (Board of Directors). დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შედის ერთი ან რამდენიმე დირექტორი. ამერიკული მოდელის თანახმად დირექტორთა საბჭო აგრეთვე შესაძლებელია დაკომპლექტებული იყოს გარე დირექტორებისაგან. თითოეულ ამ პირს გარდა უფლებებისა გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, რომელიც მეტ-ნაკლებად საერთოა, როგორც ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნების, აგრეთვე გერმანული და ქართული

³⁵ ღია ტიპის სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოთა სამართლებრივი როლი და მოვალეობები ერთსაფეხურიანი კორპორაციული მართვის სისტემაში, ნიკა აბაკელია, მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, 2018წ., 21 გვ

კორპორაციული მართვის სისტემისათვის.³⁶ რაც შეეხება ინგლისს, დიდ ბრიტანეთში კომპანიის მართვა მონისტურ პრინციპზეა დამყარებული, ანუ ერთიანი მართვის პრინციპზე (board system). კონტინენტურ სამართალში არსებული სს-ის მართვის სამდონიანი სისტემისგან განსხვავებით, ინგლისისთვის მართვის ორდონიანი სისტემაა დამახასიათებელი. კომპანიების შესახებ 1985 წლის კანონის თანახმად, კომპანიის ორგანოებია: ა) კომპანიის დირექტორები და მდივანი; ბ) აქციონერთა საერთო კრება. დირექტორები კომპანიის მიმდინარე მართვის სტრუქტურას განსაზღვრავენ. მათ უფლება აქვთ შექმნან ნებისმიერი კომიტეტები, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე დირექტორი შედის. მათ ასევე შეუძლიათ თავისი უფლებამოსილებების დელეგირება მმართველი დირექტორისთვის ან კომპანიის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მმართველი ნებისმიერი სხვა დირექტორისთვის. ³⁷ ქართული საკორპორაციო სამართალი ასე არ ჰყოფს ბორდის წევრებს - გარე და შიდა დირექტორებად, არც მდივნად და სხვა მმართველ პირებად, მხოლოდ წარმომადგენლის სავალდებულოობაზე ამახვილებს ყურადღებას. სწორედ მესამე პირებთან წარდგენის უფლება ხდის საწარმოს სრულად სამართალ ქმედუნარიანს. რაც შეეხება წარმომადგენლის - დირექტორის კომპეტენციებს, მეწარმეთა შესახებ კანონით დეტალურად არ არის მოწესრიგებული, აღნიშნულის უფლებას პარტნიორებს ანიჭებს - „ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით“.³⁸ როგორც უკვე ავღნიშნეთ, დირექტორის კომპეტენციების დეტალურ მოწესრიგებას მეწარმეთა შესახებ კანონის ზოგადი დებულებები არ გვთავაზობს, მხოლოდ

³⁶ ლადო ჭანტურია, „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში,“ (თბილისი: გამომცემლობა სამართალი, 2006, 115 გვ, 199 გვ.

³⁷ შედარებითი საკორპორაციო სამართალი: ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი — 2013 წელი, მკვლევარი: სამართლის მაგისტრი, დიმიტრი კარუნა, 95 გვ., 96 გვ.

³⁸ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი 9.7

კერძო ნაწილში ვხვდებით ზოგად დანაწესებს, ისიც სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის თავში,³⁹ რაც დირექტორების რაოდენობას, წარმომადგენლობის ფარგლებს და მათ მოვალეობათა - გულისხმიერად განხორციელებას უკავშირდება. რაც შეეხება, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის წესებს სრულად ჰარმონიაში „ევროკავშირის საჯაროობის დირექტივასთან“ , საკორპორაციო სამართლის შესახებ ევროკავშირის პირველი დირექტივა (საჯაროობის დირექტივა), რომელიც ასევე ეხება „კომპანიის წარმომადგენლობისა და მესამე პირების მიერ ასეთ წარმომადგენლობისთვის ნდობის საკითხს“ .⁴⁰ აღნიშნული დირექტივის მიხედვით საქართველოში საწარმოს წარმომადგენლის შესახებ, სრულად ხელმისაწვდომია მესამე პირთათვის რეესტრის ვებ გვერდზე - <https://napr.gov.ge> , რაც სანდოობის სტანდარტს უფრო მაღალს ხდის. საწარმოს მართვის დროს მისი წარმომადგენელი - დირექტორი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მინდობილობით, თუ ასეთი უფლებამოსილება მას შეზღუდული არ აქვს, ან დამატებით სხვა მმართველი ორგანოს თანხმობას არ მოითხოვს კონკრეტული საწარმოს წესდება.⁴¹ მინდობილობის ინსტიტუტი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, რომელმაც ხელი შეუწყო კაპიტალიზმის განვითარებას, მსხვილი საწარმოების ჩამოყალიბებას და თავისუფალი სამეწარმეო ურთიერთობის განვითარებას, რამდენადაც, მინდობილობის გაცემით მეწარმეს საშუალება ეძლევა ერთდროულად სხვადასხვა ტერიტორიებზე მოახდინოს თავისი სამეწარმეო მიზნების განხორციელება.⁴² ამერიკის შეერთებული შტატების „Black Law Dictionary“ მინდობილ საკუთრებას - Trust - ასე განმარტავს: „legal entity created by a grantor for the benefit of designated beneficiaries...“ ამერიკის

³⁹ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ , დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი 56, მუხლი 66

⁴⁰ საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის ოქტომბერი, 2019, ნინო ბაქაქური, მარტინ გელტერი , ლაშა ცერცვაძე, გიორგი ჯუღელი, გვ 80

⁴¹ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ , დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი.10.1

⁴² ჩარგეიშვილი ა., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, პროკურა და სხვა მინდობილობითი უფლებამოსილებანი, 91

სამართალში „Legal entity” იურიდიული პირის მსგავს ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს.⁴³ ტერმინ “Entity”-ში ზემოთ აღნიშნული ლექსიკონი გულისხმობს: კორპორაციას, პარტნიორობას და ა.შ. 116 არსებობს სხვადასხვა ტიპის ე.წ „ტრასტი“, ის შეიძლება იყოს ზეპირი, არაპირდაპირი, პრეზუმირებული და შემაჯამებელი. ⁴⁴ წარმომადგენლობა, რომელიც მინდობილობის საფუძველზე ხორციელდება სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული, რაც სანოტარო წესით დამოწმებას გულისხმობს, ნოტარიუსი ადგენს და ამოწმებს დირექტორის უფლებამოსილებას და აღნიშნული წარმომადგენლობის შესახებ დოკუმენტების გადამოწმებაც შესაძლებელია ნოტარიუსთა შესახებ ვებ. გვერდზე <https://www.notary.ge/>, აღნიშნული საჯაროობის პრინციპის დაცვის კიდეც ერთი მნიშვნელოვანი რეგულაციაა, რაც ამასთან იძლევა ისეთ სიკეთეებს ,რაც კონტრაქტის ინტერესების დაცვას და წარმომადგენლობითი ნაკლის გამორიცხვას გულისხმობს.⁴⁵ განსხვავებულად უნდა მივუდგეთ საკითხს, როდესაც დოკუმენტები ან და მინდობილობა დამოწმებულია არა საქართველოში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სადაც აპოსტილის/ლეგალიზების დამოწმების წესებები ვრცელდება ან ისეთ ქვეყნებში, რომელზეც ეს მოთხოვნები არ ვრცელდება (მინსკის წევრ სახელმწიფოებში), აღნიშნული სახით გაცემული დოკუმენტის გაცემის, ცვლილებისა თუ გაუქმების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება არც ისე მარტივია. (<https://www.notary.ge/>) შესაბამისად, თუ საწარმოს სახელით წარმომადგენელმა დადო არ არსებული წარმომადგენლობის ფარგლებში გარიგება უნდა გვარცელდეს სსკ-სი დანაწესები და აქედან დამდგარ შედეგებზე პასუხისმგებლობა კონტრაქტს არ უნდა დაეკისროს. ქონებისა თუ რაიმე უფლების მინდობის ინსტიტუტს

ჯერ კიდეც რომის კერძო სამართალში იცნობდნენ

⁴³ ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის სამაგისტრო პროგრამა თამარ გოგინავა , წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველები და წარმომადგენლობის ფარგლები, 2019წ. 41 გვ., 42 გვ

⁴⁴ Towards a European Civil Code, Kluwer Law International, 2004, 787

⁴⁵ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე დოკუმენტის ნომერი 71, დოკუმენტის მიმღები საქართველოს იუსტიციის მინისტრი, მიღების თარიღი 31/03/2010, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს მინისტრის ბრძანება, გამოქვეყნების წყარო, თარიღი ვებგვერდი, სსმ, 33, 31/03/2010, ძალაში შესვლის თარიღი 01/04/2010, სარეგისტრაციო კოდი 170040000.22.027.014413, მუხლი 20, მუხლი 52

პროკურატორს(ლათ:ხელმძღვანელი,მმართველი)-პირები, რომლებიც ცალმხრივი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე, უძღვებოდნენ მიმდინარე სამეურნეო საქმეებს, შესაბამისად, ფრანგული სამართალი იცნობს პროკურაციონ (ფრანგ.), როგორც მინდობილობის ინსტიტუტს, ასე რომ, მინდობილობით ურთიერთობებს კერძო სამართალში ისტორიული საფუძვლები გააჩნია.⁴⁶ მინდობილობის მსგავს წარმომადგენლობაზე უთითებს ასევე, კანონი მეწარმეთა შესახებ (მუხლი10) „გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) ” , პროკურისგან განსხვავებით, საბჭოთა საქართველოს სამოქალაქო სამართალი იცნობდა მინდობილობის სახეს - იურიდიული მოქმედების განხორციელების უფლებამოსილებას (სავაჭრო მინდობილობას).⁴⁷ პროკურა განიმარტება, როგორც მინდობილობა, წარმომადგენლობის განსაკუთრებული სახე, რომლის მოცულობა განისაზღვრება კანონით. პროკურა კანონით ზუსტად განსაზღვრული შინაარსიდან გამომდინარე, მჭიდროდ დაკავშირებულია საწარმოს წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გამოვლენილ ნებაზე.⁴⁸ გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი (პროკურისტი) რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. პროკურა იძლევა უფლებამოსილებას, სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან, ამასთან, პროკურის მოცულობის შეზღუდვა ბათილია მესამე პირისათვის.⁴⁹ წარმომადგენლობასთან მიმართებაში,საქართველოს სასამართლოების მიერ შემდეგი სახის განმარტებები დაიდო:

⁴⁶ ჩარგეიშვილი ა., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, პროკურა და სხვა მინდობილობითი უფლებამოსილებანი გვ 90

⁴⁷ ჩარგეიშვილი ა., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, პროკურა და სხვა მინდობილობითი უფლებამოსილებანი გვ 94

⁴⁸ ჟურნალი „ადვოკატი“ №1, 2011, ირაკლი ყანდაშვილი: „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისგან“, გვ.86

⁴⁹ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ , დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი.10

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, ასეთ შემთხვევაში კონტრაქტი ხელშეკრულების დადებისას უნდა დაინტერესდეს, დირექტორს აქვს თუ არა ამ ხელშეკრულების დადების უფლება და თუ დარწმუნდება, რომ ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება არა აქვს, მოსთხოვოს შესაბამისი თანხმობა. აღნიშნული მოთხოვნა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დროსა უნდა გაითვალისწინოს ნოტარიუსმაც.⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული საკითხი არსებითად სხვაგვარად გადაწყვიტა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა რომ მესამე პირი, რომელიც შედის საწარმოსთან სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში, არ არის ვალდებული, შეამოწმოს საწარმოს შიდაკორპორაციული დოკუმენტები. მესამე პირებს უნდა შეეძლოთ, დამატებითი შემოწმებებისა და დოკუმენტაციის მოძიების გარეშე მიიჩნიონ, რომ საწარმოს დირექტორი უფლებამოსილია, დადოს გარიგება საწარმოს სახელით. შეუძლებელი იქნებოდა ეფექტიანი სამოქალაქო ბრუნვის არსებობა, თუ ყველა კონტრაქტს მოვთხოვდით, გარკვეულიყვნენ კონკრეტული საწარმოს შიდა პროცედურებში და საწარმოს ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნაში. ასეთი მიდგომა დააბრკოლებდა გარიგებების მარტივად და ეფექტიანად დადების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად გაზრდიდა მხარეების ტრანსაქციულ ხარჯებს.⁵¹ დასკვნის სახით, ყოველივე ზემოაღნიშნულის ანალიზი ცხადყოფს, რომ საწარმოს წარმომადგენლის კომპეტენციებთან ერთად, კეთილსინდისიერად, გულისხმიერად და მართლზომიერად მოქმედების აუცილებლობაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. კარგი კორპორაციული მართვა, უმეტესად მათ წარმომადგენლების სათანადო მოქმედებებზეც არის დამოკიდებული, ამდენად სანდო და კეთილსინდისიერი წარმომადგენლი ყოველი საწარმოს სამარკო ნიშანი უნდა იყოს.

⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთიანი პრაქტიკით (მითითება კეთდება საქმეზე – SCG N3k-1492-02, მარტი, 19, 2003), საქმე Nas-495-471-2013) და (საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის ოქტომბერი, 2019, ნინო ბაქაქური, მარტინ გელტერი, ლაშა ცერცვაძე, გიორგი ჯუღელი, გვ 80

⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/1/543, ვებგვერდი, 14.02.2014 და საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის ოქტომბერი, 2019, ნინო ბაქაქური, მარტინ გელტერი, ლაშა ცერცვაძე, გიორგი ჯუღელი, გვ 80

IV. სამეწარმეო სუბიექტის მმართველთა - ხელმძღვანელთა დაწარმომადგენელთა უფლება-მოვალეობების საფუძვლები

4.1. დირექტორების პასუხისმგებლობის ფორმები , ფიდუციური მოვალეობები

კორპორაციული მართვა, საწარმოს მმართველთა (ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა) კეთილსინდისიერების გამოჩენის გარეშე წარმოუდგენელია, გულმოდგინეობისა და სანდოობის მოვალეობების ერთიანობით იქმნება კორპორაციული მართვის მაღალ ეთიკური სტანდარტები. იმ ცნების ქვეშ, რასაც „კეთილსინდისიერება“ ჰქვია მოიაზრება, როგორც კანონისმიერი ასევე, არაკანონისმიერი მოვალეობები. იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად აღნიშნულ მოვალეობეს „ფიდუციური“ (Fiduciary) მოვალეობების სახელით მოიხსენიებენ. „ანგლოამერიკულ სამართლის სისტემაში ხელმძღვანელებზე დაკისრებული მოვალეობები იყოფა ორ ჯგუფად: გულმოდგინე ხელმძღვანელისა (Duty of Care) და ერთგულების (Duty of Loyalty) მოვალეობებად.“⁵²

გერმანულ სამართალში აღნიშნულ მოვალეობათა ჯგუფს ემატება კიდევ ერთი ჯგუფი მოვალეობებისა.⁵³ რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, იზიარებს აშშ-ს კანონმდებლობის მიდგომებს და საწარმოს წარმომადგენლობა/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს აკისრებს, როგორც გულმოდგინების , ასევე ერთგულების მოვალეობას.⁵⁴ კეთილსინდისიერების პრინციპი როგორც ზრუნვის, ისე ერთგულების მოვალეობის მნიშვნელოვანი ელემენტია. მაგალითად, დელავერის შტატი კეთილსინდისიერებას ცალკე მდგომ ფიდუციურ მოვალეობად მიიჩნევს.⁵⁵ საწარმოს წარმომადგენლების მოქმედება რამდენად კეთილსინდიერია შესაფასებელია, ადგილი ხომ

⁵² დავით მაისურაძე, „სამეწარმეო განსჯის წესის განმარტებისთვის,“ (თბილისი: სამართლის ჟურნალი N1-2, 2010, გვ.108

⁵³ ლადო ჭანტურია, „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში,“ თბილისი: გამომცემლობა სამართალი, 2006 გვ 199

⁵⁴ დავით მაისურაძე, „სამეწარმეო განსჯის წესის განმარტებისთვის,“ თბილისი: სამართლის ჟურნალი N1-2, 2010 გვ 108

⁵⁵ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი , სამართლის ჟურნალი #2, 2014, მთავარი რედაქტორი ირაკლი ბურდული (პროფ., თსუ), ანა რა მიშვილი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის როლი კარგი კორპორაციული მართვის მდგრადი მოდელის შექმნაში: აუცილებელი ატრიბუტები და მათი კომბინირება გვ 142.143

არ ჰქონდა პირდაპირ ან არაპირდაპირ ინტერესთა კონფლიქტს, არაკომპეტენტურობას, არაინფორმირებულობას, გულმოდგინეობის მიღმა დარჩენილ მოვალეობებს მათ შორის დაუინტერესებლობა , ზრუნვის მოვალეობის დავიწყებას, ან შემთხვევას როცა გონივრულად და შესაძლებლობის ფარგლებში წინდახედულობის გამოჩენა ევალებოდა ,შესაბამისად აღნიშნულ მოვალეობათა დარღვევას, თუ მოჰყება საწარმოსთვის ზიანის მიყენება, ხდება შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება სამოქალაქოსამართლებრივი ან/და სისხლისსამართლებრივი. „გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობაში აერთიანებენ „ბიზნეს გულმოდგინებას“ (*Business Due Diligence*) და „სამართლებრივ გულმოდგინებას““ (*Legal Due Diligence*).⁵⁶ დირექტორმა, როგორც პასუხისმგებელმა პირმა თავიდანვე უნდა გაიაზროს, როგორც ბიზნესის გულმოდგინე მმართველმა და გონიერების ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილებები, შესაბამებოდეს საწარმოს ყოველმხრივ საუკეთესო ინტერესებს, რადგანაც აღნიშნულის გარეშე კარგი კორპორაციული მართვის მიზნის მიღწევა შეუძლებელია. კეთილსინდისიერების მოვალეობის სამართლებრივი ასპექტები ქართულ კანონმდებლობაში გათვალისწინებულია შემდეგნაირად: საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა პუნქტი 6. - „ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების

⁵⁶ Kubota D.,Due diligence and commercial transaction - Advanced Corporate Business Transactions.,2009.,Ontario.,გვ.28

კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად“. ფიდუციური მოვალეობების დარღვევად იქნება მიჩნეული, თუ საწარმოს წარმომადგენლები საწარმოს შესახებ ინფორმაციებს გასცემენ მესამე პირებზე, ასე მაგალითად აშშ-ის საკორპორაციო კანონმდებლობის მიხედვითაც, დირექტორმა არ უნდა გასცეს ინფორმაცია, რაც მან მიიღო საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას. მას აგრეთვე ეკრძალება საკორპორაციო შესაძლებლობების გამოყენება პირადი სარგებლის მიღების მიზნებით.⁵⁷ ინფორმაციის გაუცემლობასთან დაკავშირებით საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 9.6. პუნქტი ადგენს - „, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პირებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ასეთის არსებობისას, პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო“. აშშ-ის სამართლისათვის დამახასიათებელია ასევე, ხელმძღვანელთა მოვალეობების სახით კიდევ ერთი ჯგუფის - მართლზომიერი მოქმედების მოვალეობის (*Duty of Obedience*, რომელიც ითარგმნება - დამორჩილების მოვალეობად) არსებობა, თუმცა იგი პრაქტიკულად გულმოდგინე მოვალეობის არსშია მოქცეული. გერმანულ სამართალშიც ცალკე სახედ არის გამოყოფილი დუმილის მოვალეობა (*Verschwiegenheitspflicht*)⁵⁸ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ არ იმეორებს აღნიშნული სახით ფიდუციური მოვალეობების ვრცელ ჩამონათვალს, უნდა მოვიზროთ რომ კეთილსინდისიერების მოვალეობა თავის თავში აერთიანებს სხვა მოვალეობებსაც. კეთილსინდისიერების მოვალეობის ზოგად წესს ვხვდებით, როგორც მეწარმეთა შესახებ კანონის ზოგად ნაწილში , ასევე კერძო ნაწილში

⁵⁷ Kleinberger D. S., „აგენტობა, ერთობლივი საქმიანობა და შპს-ები“, მე-2 გამოცემა, ნიუ-იორკი, „Aspen Publishers“, 119 გვ.

⁵⁸ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 199 გვ

მუხლი 56. პუნქტი 4: „დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. თუ დადგენილია ზიანის ფაქტი, მაშინ დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი საქმეს უძღვებოდნენ ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ეს მოთხოვნა შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია“. აღნიშნულის მიხედვით გულმოდგინეობისა და კეთილსინდისიერების მოვალეობებია გათვალისწინებული, ამასთან, **გულმოდგინეობის** მოვალეობას კანონი ზოგად ნაწილში -ზოგად დებულებებში არ გვთავაზობს, ასევე მეწარმეთა შესახებ კანონით არ არის გათვალისწინებული „ერთგულების მოვალეობა“ , შეგვიძლია ვივარაუდოთ ,რომ კანონმდებელი მხოლოდ კეთილსინდისიერების მოვალეობის ქვეშ მოიაზრებს ყველა სხვა ფიუდიციურ მოვალეობებს. გარდა ზემოაღნიშნულისა „ფიუდიციურ მოვალეობები“ გათვალისწინებულია საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ მუხლი 9, პუნქტი 9: „თუ საწარმოს გადახდისუნარიანობის პროცესი დადგა და აღნიშნულის შესახებ ამ განცხადებას ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებით ეპყრობიან“. გერმანიაში კორპორაციული ჯგუფების ხელმძღვანელთა/წარმომადგენელთა პასუხისმგებლობა კანონით არის მოწესრიგებული და იგი არაა დამოკიდებული (დაკავშირებული) საზოგადოებასა და ხელმძღვანელს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებზე, ფიუციური ვალდებულების პრინციპი გერმანული სისტემის მიხედვით ვრცელდება სამეთვალყურეო საბჭოზეც. ⁵⁹ შესაბამისად, ამ პასუხისმგებლობას კანონისმიერ პასუხისმგებლობას უწოდებენ, აშშ-ში კი, მიუხედავად ამ სფეროს საკმაოდ სრულყოფილად რეგულაციისა,

⁵⁹ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, სამართალი 2006, 66გვ. და 455 გვ.

ძირითადად მაინც სახელშეკრულებო (ძირითადად წესდებით) პასუხისმგებლობაზეა საუბარი.⁶⁰ ისეთი ფიუდიციური ვალდებულებები, რომლებიც ერთგულებისა და გულმოდგინეობის მოვლევებია სასურველი იქნებოდა მეწარმეთა შესახებ კანონის ზოგად დებულებებში, როგორც ძირითადი კანონისმიერი მოვალეობების სახით გათვალისწინება, რადგანაც საკანონმდებლო რეგულაცია არსებითად მნიშვნელოვანი საფუძველია შემოდგომში პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის. დირექტორის კეთილსინდისიერების, ერთგულების, გულმოდგინეობისა და ზრუნვის მოვალეობასთან ერთად, მნიშვნელოვანია ისეთი საკითხის განხილვა, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის სახით არის აღნიშნული, საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მუხლი 9, პუნქტი 5: „ ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებს არ აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (ინტერესთა კონფლიქტი)“. რაც შეეხება აღნიშნული მოვალეობის დარღვევიდან გამომდინარე პასუხისმგებლობას: „თუ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას საზოგადოებას მიადგა ზიანი, დამრღვევი ვალდებულია დათმოს ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და ანაზღაუროს ზიანი. ამ პირების მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს“. ⁶¹ კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დირექტორების მიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ საკუთარი ინტერესებისათვის მოქმედებას გულისხმობს - გარიგების საკუთარ თავთან დადების აკრძალვაა, რაც წარმოადგენს „ფიუდიციურ მოვალეობები“-ს დარღვევას, აღნიშნულზე შეზღუდვა

⁶⁰ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სოფიო მაჭავარიანი „კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში“ თბილისი 2015, გვ.123

⁶¹ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი

მეწარმეთა შესახებ კანონში პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების ანალოგიის წესით გამოყენებით შეგვიძლია აღნიშნული გარიგების ბათილობის მოთხოვნა, რომელიც არაკეთილსინდისიერ ქცევად უნდა განიმარტოს.⁶² „ფიუდიციურ მოვალეობები“-ს შეფასებასა და განსაზღვრაში სასამართლოების როლი მნიშვნელოვანია, დღეს არსებული პრაქტიკის მიხედვით საქართველოში ზუსტი კრიტერიუმები დადგენილი არ არის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია, მთავარი პრინციპია დირექტორის გულმოდგინეობა და კეთილსინდისიერება. ამ მხრივ საინტერესოა აშშ-ში დადგენილი კრიტერიუმები, აშშ-ში ფიდუციური ვალდებულებების დარღვევის გამო ინიცირებულ სარჩელზე სასამართლოს მიერ მოწმდება სამი ძირითადი ელემენტი: დირექტორის პირადი დაუინტერესებლობა/მიუკერძოებლობა, საკმარისი ინფორმაციის არსებობა და კეთილსინდისიერი ქმედება კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისათვის⁶³ „ფიდუციური მოვალეობების“ არსი პასუხისმგებლობის აღებასა და დაკისრებაში გამოიხატება, აღიარებულია, რომ დირექტორებს როგორც ფიდუციარებს, ვალდებულება აკისრიათ კორპორაციის და არა მასში მონაწილე რომელიმე კონკრეტული ინტერესთა ჯგუფის წინაშე, ლიტერატურაში ავტორები ხშირად აზუსტებენ ამ დებულებას და მიუთითებენ, რომ დირექტორს ფიდუციური მოვალეობები ეკისრება კორპორაციის წინაშე, აქციონერების, როგორც ძირითადი ინტერესთა ჯგუფის სასარგებლოდ⁶⁴ „ფიდუციური მოვალეობა“ ცალკე აღებული მხოლოდ კომპეტენციების შემადგენელი არ არის, აღნიშნული მოვალეობის არსებობა პასუხისმგებლობის განსაზღვრისა და დაკისრების

⁶² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, დოკუმენტის ნომერი 786, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 26/06/1997, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31, 24/07/1997, სარეგისტრაციო კოდი 040.000.000.05.001.000.223, მუხლი 114, თავი მეოთხე -საცილო გარიგებანი

⁶³ Cahn A., Donald D.C., Comparative Company Law, Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, Cambridge University Press, Cambridge, 2010, 370-375

⁶⁴ Edward E. Rock, "Adapting to the New Shareholder-Centric Reality", 161 U. Pa. L. Rev. 1907, 1956-57, (2013) "Directors owe fiduciary duties to the corporation, for the benefit of the shareholders as a group (not "and to the shareholders" და (ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა დირექტორთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე, გიორგი ჯუღელი, 2017წ., 18გვ

საფუძველს წარმოადგენს. პასუხისმგებლობა კორპ მართვის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს. რაც ნიშნავს, რომ კორპორაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა განიხილება, კორპორაციული მართვის კონტექსტში, როგორც პასუხისმგებელი მენეჯმენტის უზრუნველყოფის ერთ-ერთი, მაგრამ არაერთადერთი საშუალება.⁶⁵ როგორც ავლნიშნეთ საქართველოს საკორპორაციო სამართალმა, გერმანულიდან გეზი ამერიკულისკენ აიღო, შედარებისთვის განვილოთ მსგავსებები და განსხვავებები. აშშ და გერმანია კორპორაციული მართვის სხვადასხვა ფილოსოფიას განამტკიცებენ . ამერიკული მოდელი უპირატესობას ნიაჭებს საგარეო კორპორაციული მართვის სისტემას, რომლის დროსაც ხელმძღვანელობაზე კოტროლი ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიერ წარიმართება; გერმანული მოდელი კი შიდა კორპორაციული მართვაა - რა დროსაც აქცენტი კეთდება კომპანიის მართვის ორგანოთა შორის ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციების მკაცრ გამიჯვნაზე, რომელიც იმპერატიულად არის კანონმდებლობით რეგლამენტირებული. ⁶⁶ აშშ - ის საკორპორაციო სამართალში კორპორაციული მართვის პროცესში პასუხისმგებლობის სუბიექტები არიან აქიონერები, ბორდის წევრები - დირექტორები (როგორც აღმასრულებელი ისე არააღმასრულებელი დირექტორები) და მენეჯერები.⁶⁷ დირექტორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა - ბორდის წევრი დირექტორების კანონისმიერი პასუხისმგებლობა გულისხმობს მათი მხრიდან სოლიდარული წესით პასუხისმგებლობას. ასეთი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ იმ დირექტორებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ბორდის სხდომაში და დადგენილი წესით არ დააფიქსირეს თავიანთი საწინააღმდეგო ხმა. გერმანულისაგან განსხვავებით აშშ - ის საკორპორაციო სამართალი უშვებს, რომ კორპორაციის

⁶⁵ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 29

⁶⁶ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 30

⁶⁷ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. , 110

სადამფუძნებლო დოკუმენტებით ან წესდებით ნაწილობრივ ან სრულიად გამოირიცხოს დირექტორთა პასუხისმგებლობა გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობის დარღვევისათვის. ასეთი რამ გამოირიცხულია ერთგულების მოვალეობის ან კანონით გათვალისწინებული სხვა მოვალეობის განზრახი დარღვევისათვის. Fiduciary Duty of Care - დირექტორთა ვალდებულება გადაწყვეტილებანი მიიღონ კეთილსინდისიერად და საღი გონებით. ასეთი რამ დაუშვებელია ერთგულების მოვალეობის განზრახი დარღვევისთვის, რაც ადასტურებს რომ ერთგულების მოვალეობას აშშ სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.⁶⁸ როგორც აღნიშნულია გერმანიის საკორპორაციო სამართალში ყურადღებაა გამახვილებული მართვის ორ საფეხურიან სისიტემაზე, რაც საკორპორაციო სამართლის თავისებურებაა. სააქციო საზოგადოების კორპორაციული მართვის პროცესში პასუხისმგებლობის სუბიექტები არიან გამგეობა - დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო (მისი წევრები).⁶⁹ პასუხისმგებლობა ჩვეულებრივ იწყება გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დანიშვნის მომენტიდან. ათვლის წერტილად მიიჩნევა წევრების მიერ საქმიანობის დაწყების მომენტი. პასუხისმგებლობა იწყება თანამდებობის დაკავების მომენტიდან და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, აღნიშნული ორგანოს წევრები ასეთად რეგისტრირებულნი იქნებიან თუ არა სამეწარმეო რეესტრში. გამგეობის წევრის პასუხისმგებლობა არა სახელშეკრულებო, არამედ ორგანულია, პასუხისმგებლობის დასაწყისი არ არის დამოკიდებული იმაზე, დაიდო თუ არა სამსახურო ხელშეკრულება გამგეობის წევრთან, ასევე არც იმას ენიჭება მნიშვნელობა დაიდო თუ არა ეს ხელშეკრულება მართლზომიერად. თვითნებურად საქმიანობის თავის დანებება ითვლება მართლსაწინააღმდეგოდ და იწვევს პასუხისმგებლობას, აქვე ასრანიშნავია ის რომ წევრი თანამდებობიდან წავლის შემდგომ ვალდებულია შეასრულოს დუმილის მოვალეობა. პასუხისმგებლობა წყდება, როცა საზოგადოება შეიტყობს გამგეობის წევრის

⁶⁸ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. , 125-126

⁶⁹ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. , 126

არამართლზომიერად დანიშვნის თაობაზე. ვალდებულებათა დარღვევით მიყენებული ზიანისათვის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სოლიდარულად აგებენ პასუხს.⁷⁰ „ფიდუციურ მოვალეობები“-ს დარღვევისათვის პასუხისმგებლობა, რომ უნდა დაეკისროთ საწარმოს ხელმძღვანელ/წარმომადგენლებს აღნიშნულს ადგენს კანონი, საინტერესოა მიდგომები ვის ენიჭება უფლება მიმართოს საწარმოს დირექტორს აღნიშნული ვალდებულებების დარღვევისთვის, უმეტესი ქვეყნის სამეწარმეო პრაქტიკა მხოლოდ საწარმოს პარტნიორებს/აქციონერებს ანიჭებს უფლებას ზიანის მოთხოვნის დაკისრებასთან მიმართებაში, აღნიშნული მიდგომა არ გაიზიარა საქართველოს სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი პრაქტიკის მეშვეობით, კერძოდ, გადაწვეტილება №ას-1307-1245-2014, სასამართლოს მოსაზრებით, ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს შეუზღუდავად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული წესი შემდეგნაირია: როცა დადგენილია, რომ დირექტორმა დაარღვია ზრუნვის ფიდუციური ვალდებულება, კომპანია ვალდებულია, მოითხოვოს ზრუნვის მოვალეობის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დირექტორისაგან, დირექტორის პასუხისმგებლობა საწარმოს ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია, ე.ი. მის მიმართ კრედიტორის მხრიდან მოთხოვნა შესაძლებელია დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალება არ გააჩნია“.⁷¹ დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „ფიდუციური მოვალეობები“ არანაკლები კომპეტენციებია იმ კომპეტენციებს შორის, რაც საწარმოს წარმომადგენლებს გააჩნიათ. ყველა ის მოვალეობა თუ კომპეტენცია, რაც კანონით პირდაპირ არ წესრიგდება - კეთილსინდისიერების

⁷⁰ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. , 140-145

⁷¹ ნინო ბაქაქური, მარტინ გელტერი, ლაშა ცერცვაძე, გიორგი ჯუღელი რედაქტორი - ასოცირებული პროფ., სამართლის დოქ. ლაშა ცერცვაძე LLM.,MLB ოქტომბერი, 2019, საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის, - გვ.207

პრინცი არსში ჰპოვებს გამოსავალს, თუმცა „ფიდუციური მოვალეობები“-ს ზუსტი საკანონმდებლო კანონისმიერ ვალდებულებებად გადაქცევა არსებითად მნიშვნელოვანია ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხავად, რაც საწარმოს კარგი კორპორაციული მართვის განსავითარებლად აუცილებელი პირობაა.

4.2. სამეწარმეო სუბიექტის - პარტნიორების/აქციონერების პასუხისმგებლობის ფორმები, გამჭოლი პასუხისმგებლობა

კომპანიის პარტნიორებს, დირექტორებს მსგავსად, ეკისრებათ მათი უფლებამოსილების კორპორაციული მიზნით განხორციელების ვალდებულება.⁷² პასუხისმგებლობის საკითხი „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ განხილვით უნდა დავიწყოთ, კარგი კორპორაციული მართვა პასუხისმგებლობების გარეშე არ მიიღწევა, კორპორაციულ მართვაში ჩაბმულმა პირებმა (მისმა მმართველებმა) მეტი წინდახედულობა უნდა გამოიჩინონ, ეს წესი არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს სამეწარმეო სუბიექტის მმართველთა როლის ბოჭვას იმგვარად, რომ საწარმოს ეფექტიანობა შეამციროს ან დააზიანოს. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ წესი უფლებას აძლევს კრედიტორებს, უგულუბელყოფონ იურიდიული პირის „შეზღუდული პასუხისმგებლობა“ და თავიანთი ინტერესის დაკმაყოფილება პირდაპირ მოსთხოვონ ამავე კომპანიის აქციონერებს/პარტნიორებს. პირველად ეს ცნება განმარტეს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებმა. ამ განმარტების მიხედვით, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როდესაც პარტნიორის/აქციონერის მხრიდან ხდება მოტყუება, შეცდომაში შეყვანა ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (fraud, misrepresentation, illegality).⁷³ ისევე, როგორც საწარმოში მმართველთა მიმართ გამოყენებულ სხვა პასუხისმგებლობის ფორმები, „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ ფორმასაც ჰყავს მოწინააღმდეგეები, მიიჩნევა რომ აზრს უკარგავს საწარმოს ფორმებს და მათ მნიშვნელობას. აშშ-ში გამჭოლი პასუხისმგებლობა არის საგამონაკლისო მექანიზმი,

⁷² Cohen, Fiduciary Duties of Controlling Shareholders: a Comparative View, 384.

⁷³ ნინო ბაქაქური, მარტინ გელტერი, ლაშა ცერცვაძე, გიორგი ჯუღელი, რედაქტორი - ასოცირებული პროფ., სამართლის დოქ. ლაშა ცერცვაძე LL.M., M.L.B., ოქტომბერი, 2019, საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის, - გვ.207

რომლის გამოყენებაც უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციული ფორმა გამოიყენება ფარად, მართლზომიერი სამეწარმეო მიზნების გარეშე.⁷⁴ საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონმა გაითვალისწინა პასუხისმგებლობის ფორმების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები(მუხლი 3, პუნქტი 6) შემდეგია: „კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს“. მნიშვნელოვანია დაცულ იქნას ზღვარი და ყველა სამეწარმეო წარუმატებლობა არ გახდეს საწარმოს პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხი, სწორედ აქ არის მნიშვნელოვანი სასამართლოს შეხედულებები და განმარტება , „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ ფარგლების დადგენისთვის. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ შესახებ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაც მნიშვნელოვანია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეებზე №ას-1307-1245-2014, უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებით „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების მიზანშეწონილობაზე და აღნიშნა, რომ საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში, როდესაც მათი მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როდესაც ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა, როდესაც კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, ან, როდესაც არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის

⁷⁴ Strasser K., Piercing the Veil in Corporate Groups, 37 Conn. L. Rev., 2005, 650 გვ.

წარმოება.⁷⁵ ამგვარად „გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საქართველოს სასამართლომ გარკვეული სტანდარტი დააწესა, რაც სიახლესაც წარმოადგენს და ამასთან შეზღუდული ფორმის გამოყენება არ შეიძლება გახდეს მომავალში პარტნიორთათვის პასუხისმგებლობის თავითან არიდების საშუალება.საწარმოს მმართველების - პარტნიორების/აქციონერების პასუხისმგებლობა მხოლოდ კრედიტორების წინაშე არ განისაზღვრება, აქ წრე ფართოვდება და მათ პასუხისმგებლობა საწარმოს სხვა პარტნიორთა წინაშეც ეკისრებათ,რაც წარმოშობს **დერივაციული სარჩელის** წარდგენის უფლებას საწარმოს შიგნითვე პარტნიორებს შორის. დერივაციულ სარჩელი წარმოადგენს - აქციონერის მიერ ინიცირებულ მოთხოვნას, რომელსაც იგი წარადგენს კორპორაციის სასარგებლოდ და კორპორაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.⁷⁶ განსხვავდება ვალდებული სუბიექტის მიხედვით, შესაბამისად, ასახელებენ ე.წ. დერივაციული სარჩელისა და დომინანტის პასუხისმგებლობის ინსტიტუტებს⁷⁷ **დერივაციული** სარჩელი აღწერილია როგორც „ანგარიშვალდებულების მექანიზმებში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ქმედითი დიდი ზომისა და ფორმალური ხასიათის ორგანიზაციებისთვის“. იგი საშუალებას აძლევს აქციონერს, წარადგინოს სარჩელი კორპორაციის სახელით კორპორაციისათვის მიყენებული ზიანის გამო.⁷⁸ აშშ-ში დერივაციული სარჩელის შეტანისათვის სარჩელის შემტანი პირი უნდა წარმოადგენდეს აქციონერს იმ დროისათვის, როცა კომპანიას მიადგა ზიანი და იგი აქციონერი უნდა იყოს სარჩელის შეტანის დროისათვისაც.⁷⁹ ამასთან, სარჩელის შეტანამდე აქციონერმა ბორდს უნდა წარუდგინოს

⁷⁵ ნინო ბაქაქური, მარტინ გელტერი, ლაშა ცერცვაძე, გიორგი ჯუღელი ,რედაქტორი - ასოცირებული პროფ., სამართლის დოქ. ლაშა ცერცვაძე LL.M.,MLB ოქტომბერი, 2019, საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის გვ.207-208

⁷⁶ (Andenas M., Wooldridge F., European Comparative Company Law, Cambridge University Press, Cambridge, 2009, გვ.318-319).

⁷⁷ case: *In Re Gelatine*, April 26, 2004, Doc.No II ZR 154/02, Der Konzern 2004, 421 wignSi: *Cahn A., Donald D.C.*. Comparative Company Law, Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, Cambridge University Press, Cambridge, 2010, 710-721.

⁷⁸ ნინო ბაქაქური, მარტინ გელტერი, ლაშა ცერცვაძე, გიორგი ჯუღელი ,რედაქტორი - ასოცირებული პროფ., სამართლის დოქ. ლაშა ცერცვაძე LL.M.,MLB ოქტომბერი, 2019, საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის გვ.256

⁷⁹ *Soderquist L.D., Smiddy L.O., Cunningham L.A.*, Corporations and other Business Organizations: Cases, Materials, Problems, sixth edition, LexisNexis, 2005, გვ 753.

მოთხოვნა სარჩელის შეტანის შესახებ. სარჩელის დასაშვებობის რთული პროცედურაა გაწერილი კანონით როგორც გერმანიაში ისე აშშ-შიც.⁸⁰ დერივაციული სარჩელის შეტანისათვის, ზოგადი წესიდან გამომდინარე პარტნიორი/აქციონერი თუ დაამტკიცებს ზიანის არსებობის ფაქტს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კორპორაციული მართვისას აქციონერთა უფლებების დაცვის კიდეც ერთ ეფექტურ საშუალებად როგორც გერმანიაში, ისე აშშ-ში დომინანტების პასუხისმგებლობის პრინციპი სახელდება.⁸¹ განმარტების საგანია „დომინანტი“-ს ცნების ქვეშ რა იგულისხმება, წილის/აქციის რაოდენობა თუ სხვა რამე, ბევრი ქვეყნის ლიტერატურაში და პრაქტიკაში დომინანტთან არის გათანაბრებული პარტნიორი, რომელსაც კენჭისყრის შედეგებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. რაც შეეხება, საქართველოს კანონს მეწარმეთა შესახებ, დომინანტ პარტნიორს განმარტავს შემდეგნაირად, მუხლი 3, პუნქტი 8: „თუ საწარმოს დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე“. დომინანტ პარტნიორთან მიმართებაში საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ კერძო ნაწილშიც ითვალისწინებს კანონისმიერ შეზღუდვებსაც, მუხლი 53, პუნქტი 4: „აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას. თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა სააქციო საზოგადოების

⁸⁰ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სოფიო მაჭავარიანი „კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში“ თბილისი 2015, გვ.146;

⁸¹ *Закон об Акционерных Обществах Германии*, параллельные русский и немецкий тексты, М., Волтерс Клувер, 2009; *Dine J., The Governance of Corporate Groups*, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 61 გვ.

საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგზე“. აღნიშნულიდან გამომდინარე „დომინანტს“ საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონიც, პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე ზეგავლენის მომხდენ პარტნიორებად განსაზღვრავს. მსგავსად საქართველოს საკორპორაციო სამართლისა, აშშ-ს საკორპორაციო სამართლის მიდგომით, აქციათა მაკონტროლებელი პაკეტის არსებობა არ გულისხმობს აუცილებლად უმრავლესობის მქონე აქციონერის არსებობას, ანუ დომინანტის არსებობას.⁸² კორპორაციის მონაწილეთა (აქციონერები, ხელმძღვანელები, დომინანტები) ვალდებულებები, როგორც წესი, დომინანტის ვალდებულებებს ასახავენ, თუმცა ბოლოდროინდელი სასამართლო პრაქტიკით იგი ნებისმიერი მცირე პარტნიორის ვალდებულებადაც ითვლება. მის სამართლებრივ საფუძვლად გერმანიის სააქციო კანონის 117-ე მუხლს ასახელებენ, ამასთან, ერთგულების მოვალეობის გამოვლინებაა ის, რომ საზოგადოებისათვის არსებითი მნიშვნელობის ყველა გადაწყვეტილების მიღებისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა პარტნიორის ჩართულობა, რადგან ამ დებულების დარღვევით ილახება პარტნიორთა/აქციონერთა მოპყრობისა და მათ მიმართ ლოიალური დამოკიდებულების პრინციპები.⁸³ აღნიშნულის გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ პარტნიორთა კრების მოწვევის პროცედურები, როგორც ფორმალური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით, პარტნიორთა ჩართულობა დღის წესრიგის საკითხებში ცვლილება/დამატებების შეტანის უფლებამოსილება, დოკუმენტაციის გაცნობისა თუ მოსაზრებების გამოხატვა მიუხედავად გადაწყვეტილებაზე მათი გავლენისა.

⁸² დ.მაისურაძე, კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას, 34გვ

⁸³ ბურდული ი., მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, მერიდიანი, 2009, გვ.267, გვ 57

უმცირესობაში მყოფი პარტნიორების უფლებებზე საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ - მუხლი 3 , პუნქტი 10 ადგენს: „ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ კანონით, გაფართოება კი შესაძლებელია წესდებით“. პარტნიორის მიერ ინფორმაციის მიღება მისი კონტროლის ფუნქციის მთავარი გამოვლინებაა, რაც უმცირესობაში მყოფი პარტნიორების სამეწარმეო კონსტიტუციური უფლებაა. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მუხლი 3, პუნქტი 7: „პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი“. საწარმოში უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების მიერ ზემოაღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, არსებითად მნიშვნელოვანია პროცედურების დაცვა, როგორც კრების მოწვევის, ასევე საკითხის მნიშვნელობის განსაზღვრა იმ სახით, რომ უმცირესობაში მყოფი პარტნიორების საწარმოდან გაშვებას არ ემსახურებოდეს აღნიშნული გადაწყვეტილება. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტერესთა კონფლიქტი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და მის დადგენას შორის სულ იარსებებს, ვიდრე არ იქნება ზუსტი კრიტერიუმი დადგენილი, რომელიც ზუსტ კანონისმიერ მოწესრიგებას გულისხმობს. სასამართლოს როლი კორპორაციის გაძლიერებაში პრაქტიკის ჩამოყალიბებით უდაოდ დიდია და ბოლოს მნიშვნელოვანი მოწესრიგება, პარტნიორთა შეთანხმება „წესდება“ , დღეს არსებული კანონის შესავსებად გამოსავალი საწარმოს წესდებაში შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებითაა შესაძლებელი

V. საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის განხილვა

5.1. სამეწარმეო სუბიექტის წარმომადგენელთა მიმართ არსებული სასამართლო პრაქტიკა

კორპორაციული მართვის კულტურას სახელმწიფოში მხოლოდ კანონი და პარტნიორთა შეთანხმება ვერ ჩამოაყალიბებს, უდიდესი როლი ეკისრება სასამართლოს ამ მიმართულებით დამკვიდრებულ პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. ცალკეული საკითხების ირგვლივ ჩამოყალიბებულმა სასამართლოს მიერ მიღებულმა პრინციპირმა გადაწყვეტილებებმაც ხელი შეუწყო საწარმოს ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა ქცევის სტანდარტების ჩამოყალიბებას, აღნიშნულის საილუსტრაციოდ მიმოვიხილოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები: N1) საწარმოს წესდების ცვლილება, განჩინება #ას-35-32-2015 27 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნ. ბაქაქური, ბ. ალავიძე დავის საგანი: პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-ის და ც. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რომელიც გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა შემდეგნაირად:

მეწარმეთა შესახებ~ საქართველოს კანონის მე-91 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საზოგადოების პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები); კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით; მე-7 პუნქტის თანახმად კი, ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. მე-52 პუნქტის თანახმად, თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია. ზემოთ მითითებული ნორმებიდან

გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც რაიმე ფორმით აუარესებდა პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობას უნდა განხორციელებულიყო პარტნიორთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა `მეწარმეთა შესახებ` საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილებები საწარმოს სახელით, გამოვიდეს მესამე პირებთან ურთიერთობაში საწარმოს სახელით. მე-6 პუნქტის თანახმად კი, დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სადად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის არ შეასრულებს ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. დირექტორი საწარმოსათვის უმნიშვნელოვანესი სუბიექტია; შესაბამისად, მისი საქმიანობის უარყოფითად (არაჯეროვნად და არაკეთილსინდისიერად) შეფასება და ამის შედეგად მისი თანამდებობიდან გადაყენება ვერ ჩაითვლება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობად, რის გამოც, `მეწარმეთა შესახებ` საქართველოს კანონის მე-91 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ეს საკითხები უნდა განხილულიყო საწარმოს 100% ხმების მქონე პარტნიორთა მონაწილეობით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ი. მ-ემ, დ. შ-ამ, რ. ჭ-მა, ი. ჩ-მა, რ. გ-ემ, ლ. ხ-ემ, ც. მ-ემ რომლითაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი `მეწარმეთა შესახებ` საქართველოს კანონის მე-9 პუნქტის მიხედვით საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს, მე-52 პუნქტის თანახმად, თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია. რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს პარტნიორთა კრებამ, 2014 წლის 16 იანვარს, საწესდებო კაპიტალის 61%-ის მქონე პარტნიორთა გადაწყვეტილებით შექმნა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭო და აირჩია მისი წევრები, ხოლო 2014 წლის 5 მარტს კი, ხმების იმავე ოდენობით მიღებული გადაწყვეტილებით, დაამტკიცა ახალი წესდება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებებით არ გაუარესებულა პარტნიორთა სამართლებრივი მდგომარეობა. საწარმოს დირექტორის სტატუსისა და მისი უფლებამოსილების შესახებ, კი იმსჯელა რომ დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. ამასთან, მისი თანამდებობიდან გადაყენება ვერ ჩაითვლება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობად, რის გამოც, `მეწარმეთა შესახებ` საქართველოს კანონის მე-91 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ეს საკითხები უნდა განხილულიყო საწარმოს 100% ხმების მქონე პარტნიორთა მონაწილეობით. ხოლო აღიარებული შეხედულების მიხედვით, დირექტორის

გასათავისუფლებლად უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი, რომლის არსებობა მოცემულ საქმეზე დადასტურებული არ არის.

N2) საწარმოს დირექტორის გათავისუფლება, განჩინება #ას-23-23-2016 9 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ბ. ალავიძე, ნ. ბაქაქური
დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ დამფუძნებელი

პარტნიორის ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაო ადგილზე აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება, სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით დირექტორ ლ. ჯ-მის მიერ 2013 სამეურნეო წელს გაწეული საქმიანობა ჩაითვალა არადაამაკმაყოფილებლად და მისგან გამომდინარე იგი გათავისუფლდა სამუშაოდან. მოსარჩელეს უარი ეთქვა შპს `ბ. ნ. ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენასა და განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურებაზე. სააპელაციო პალატამ შეფასა და იმსჯელა `მეწარმეთა შესახებ` საქართველოს კანონით. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა - მე-9 მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, ხელმძღვანელობის უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; ასევე, განმარტა რომ, შპს `ბ. ნ. ქარხნის` წესდების საფუძველზე პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას, მათ უფლება ჰქონდათ ნებისმიერ დროს მოეთხოვათ დირექტორისათვის საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა სამუშაოდან. დირექტორსა და პარტნიორს შორის უთანხმოების შემთხვევაში სამეწარმეო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი საზოგადოების ხელმძღვანელთანაც კი, შრომითი ურთიერთობის გაგრძელება გაუმართლებელია. რაც გაასაჩივრა საკასაციო წესით დირექტორმა ლ. ჯ-მ. საკასაციო პალატამ იმდგელა, რომ მხარეთა შორის სადავოა

საზოგადოების დირექტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა საწარმოს ინტერესებთან. დირექტორთან დადებული ხელშეკრულებით პარტნიორი იღებდა ვალდებულებას უზრუნველყო დირექტორი სათანადო სამუშაო პირობებით, ხოლო დირექტორი – ვალდებულებას გაძლოდა საწარმოს კეთილსინდისიერად. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით თითქოს საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლომ უალტერნატივოდ გაიზიარა აუდიტის დასკვნაში მითითებული გარემოებები და აღნიშნავს, აუდიტის დასკვნა შეფასებულ იქნა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რომლის საწინააღმდეგოდ კასატორმა სასამართლოს ვერ წარმოუდგინა სათანადო მტკიცებულებები. ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩელს სადავო ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სწორად ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე. ასევე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება გამოიცემა `მეწარმეთა შესახებ` საქართველოს კანონის საფუძველზე და შესაბამისად, სახეზეა კერძოსამართლებრივი და არა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ექვემდებარება განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

5.2.სამეწარმეო სუბიექტის პარტნიორთა მიმართ არსებული სასამართლო პრაქტიკა

კორპორაციულ მართვაში საწარმოს პარტნიორები/აქციონერები წარმოადგენენ იმ პირებს, რომლებიც სამეწარმოში ძირითად პოლიტიკას განსაზღვრავენ, რაც იძლევა იმ მიზანს, რასაც სარგებელის, დივიდენდების, გადასახადებით ძლიერი საწარმოს და სახელმწიფოს შენების თუ საწარმო და ეკონომიკურ სიკეთეებს იძლევა.

წარმატებული საწარმოს მართვა, საწარმოს ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა ჰარმონიის გარეშე წარმოუდგენელია. მნიშვნელოვანია, გააცნობიერონ ამ ჯგუფის წვრებმა კარგად და ნათლად საწარმოს დაფუძნების მიზნები, მმართველობის დემოკრატიულობის და ჩართულობის და ერთპიროვნულობის პრინციპები, ყველა პარტნიორის ჩართულობა

საწარმოს მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საკითხის გააზრებაში და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განსაზღვრაში სასამართლოს როლი უდაოდ დიდია, ამასთან პარტნიორთა მაჟორიტარ და მინორიტარ ჯგუფებად დაყოფის პროცესში მართველობის წესების შეფასებისას, როგორც მიუკერძოებელმა და ობიექტურმა არბიტრმა მიიღოს გადაწყვეტილება. რა მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს განვიხილავთ წინამდებარე ქვეთავში პარტნიორებთან/აქციონერებთან მიმართებაში:

N1)საკასაციო საჩივარი, საქმის ნომერი ას-1548-2019, თარიღი20/11/2019, დავის საგანი - კრების ოქმის ბათილად ცნობა. გადაწყვეტილება/განჩინება- საქმე №ას-1548-2019 , 14 თებერვალი, 2020 წელი ,ქ. თბილისი. სამოქალაქო საქმეთა პალატა შემადგენლობა: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე.

დავის საგანი – კრებისა ოქმების ბათილად ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, ქონების სააქციო საზოგადოების საკუთრებაში დაბრუნება რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა სს „ს-ის“ აქციონერ მ.ო-ის მიერ. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის განხილვის შედეგად დაასკვნა, კრება არ იყო უფლებამოსილი მიეღო დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილება და, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა პროცედურულ დარღვევას, კერძოდ, სადავო კრების ჩატარებისას მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააქციო საზოგადოების საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე, წესდებით განსაზღვრული ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები) მიერ, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების

მისაღებად. საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. სხდომის ჩატარების თაობაზე დაირღვა მოსარჩელის ინფორმირებულობა. სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. ხელშეკრულების მხარეთა მოვალეობა მხოლოდ ვალდებულების შესრულების ჭრილში კი არ უნდა იქნეს განხილული, არამედ, მხარეებს ევალებათ განსაკუთრებული გულისხმიერებით მოექცნენ მეორე მხარის უფლებასა თუ ქონებას. სამოქალაქო კოდექსის მერვე მუხლის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებვას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ დავაში, კეთილსინდისიერი ქცევის მინიმალური სტანდარტი ავალდებულებდა სს „ს-ის“ დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქციონერების ინფორმირება მოეხდინათ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად და მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს სახელმძღვანელო ყოფილიყო არა პირადი, არამედ საზოგადოების ინტერესი. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ წარმოადგენს სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას და ურთიერთდამოკიდებულების გამო, არ მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და ადგილი არ ჰქონდა მოსარჩელის, როგორც აქციონერის და ასევე, კომპანიის უფლებებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერებით ქცევას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა ერთ-ერთმა მოპასუხემ - გ.ა-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება. საკასაციო პალატამ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იმსჯელა და შეაფასა შემდეგნაირად: აქციონერები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ საერთო კრებაზე. კრებაზე მოწვეულ უნდა იქნეს ყველა

აქციონერი, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება შეიძლებოდა მაინც ყოფილიყო მიღებული, კრება უნდა ჩატარებულიყო კანონისა და წესდების ნორმების შესაბამისად, სხვათათვის შეუტყობინებლად მიღებული გადაწყვეტილება კი, წარმოადგენს უმრავლესობის მიერ წესდების ნორმების დარღვევას. რაც შეეხება გარიგების ფასის უძრავი ქონების საბაზრო ფასთან შეუსაბამობას, მარტოდენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენება არ არის საკმარისი სასყიდლიანი გარიგების ბათილობის საფუძვლად, იმ კონტექსტში გაამახვილა ყურადღება, რომ ემსჯელა აქციონერის სათანადო ინფორმირებულობის გარეშე, საერთო კრების ჩატარებისას საზოგადოების მხრიდან კეთილსინდისიერების სტანდარტი რამდენად იყო დაცული. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი გამოყოფს „სამი სახის ფასეულობას“, რომელთა დარღვევა იწვევს გარიგების ბათილობას: კანონით დადგენილი წესი და აკრძალვა; საჯარო წესრიგი; ზნეობის ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს. სსკ-ის 8-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. „მუხლის მიზანი არის, ერთი მხრივ, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა წრის განსაზღვრა, ხოლო მეორე მხრივ, ამ ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის შეფასების უნივერსალური შეფასების დადგენა“ (იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I., მუხლი 8., თბ., 2017, ველი 1-ლი.). კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის საერთო მიმართულებასაც. არა ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველი. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის,

არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპი ასახულია ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებშიც. კერძოდ, 1:201-ე მუხლის თანახმად, “თითოეული მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების პრინციპების მიხედვით“. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ეს ზოგადი დებულებანი განხილულია ძირითადად ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით. (იხ. *Towards a European Civil Code*, ed. by Hartkamp/ Hesselink/ Hondius/ Perron/ Vranken, Nijmegen, Dodrecht, Boston, London, 1994, 205-209.) კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულია აგრეთვე კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის (*International Institute for the Unification of Private Law – UNIDROIT*) მიერ შემუშავებულ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპების (*Principles of International Commercial Contracts*) 1.7 მუხლშიც, კერძოდ, „თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს საერთაშორისო-სავაჭრო პრაქტიკაში მიღებული კეთილსინდისიერებითა და პატიოსანი საქმოსნური პრაქტიკით. მხარეებს არა აქვთ უფლება, გამორიცხონ ან შეზღუდონ აღნიშნული ვალდებულება.“ (იხ. *Principles of International Commercial Contracts (UNIDROIT)*, Rom, 1994, *Uniform Law Review*, 2004, 124.

აღსანიშნავია, რომ კორპორაციულსამართლებრივ კონტექსტში ხელმძღვანელი (დირექტორი) საწარმოს და არა მისი აქციონერების / პარტნიორების მინდობილი პირი - მისი ფიდუციარია. აქციონერების /პარტნიორების ურთიერთობა კი განპირობებულია სწორედ „საწარმოს საუკეთესო ინტერესით“, ვინაიდან სწორედ აქციონერია /პარტნიორია საწარმოს წარმატების მთავარი მოსურნე და მისი მთავარი მოსარგებლე (ბენეფიციარი) (იხ., ჯუღელი გ., დირექტორთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ახალი სასამართლო პრაქტიკის შედარებით სამართლებრივი მიმოხილვა. ჟურ. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა; აგრეთვე, იხ., Emanuel S., Emanuel L., *Corporations*, Aspen Publishers Online, New

York, 2009, 46-78; Modern Company Law for a Competitive Economy Final Report (London: DTI, 2001), paras. 6.19-6.40, Shareholder Litigation: Common Law, 212-249) (შეადრ: სუსგ №ას-687-658-2016, 06 ნოემბერი, 2018 წელი, პ.72). საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია ვერ წარმოადგინა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის დამაბრკოლებელ გარემოებებთან დაკავშირებით და სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებებს,

N2 საკასაციო საჩივარი, საქმის ნომერი ას-1101-1037-2015, თარიღი -27/09/2016

დავის საგანი - აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, საწარმოს დოკუმენტაციის გამოთხოვა სამოქალაქო საქმეთა პალატა , შემადგენლობა: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

დავის საგანი – აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა საწარმოს დოკუმენტაციის გამოთხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეს დაევალა მონაცემების შედარების მიზნით სპეციალური შემოწმების ჩატარება და ამ შემოწმების მასალების ასლების მოსარჩელისთვის გადაცემა; სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის 32 პუნქტზე, მე-3 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებზე და ასევე, მოპასუხე კომპანიის წესდების მე-7 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტებზე და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე წარმოადგენს მოპასუხე კომპანიის აქციათა 10%-ის მესაკუთრეს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უფლება ჰქონდა საზოგადოებისგან მოეთხოვა სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება და მმართველობის ორგანოსაგან საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და დასადები გარიგებების შესახებ ინფორმაცია. თუმცა , ასლების გადაცემასთან დაკავშირებით, მას არც კანონი და არც საზოგადოების წესდება არ ავალდებულებდა მონაცემების შედარების მიზნით სპეციალური შემოწმების საკუთარი ხარჯით ჩატარებას; საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ : „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10

პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის პარტნიორებს თანაბარ პირობებში თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, თუ ამ კანონით და წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაბამისად. აქციონერს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ საზოგადოების სახელით დასადები ან დადებული გარიგების ასლები. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის 35 მუხლის თანახმად, ნებისმიერი კლასის აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, სააქციო საზოგადოების შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ ამ საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და დასადები გარიგებების შესახებ ინფორმაცია ან/და გარიგებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ასლები. რაც შეეხება წესდების ცვლილებას და კაპიტალის გაზრდას - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 91 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს“, ამასთან კანონით დადგენილი არ არის საზოგადოების მიერ კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული მოთხოვნა, მსგავსი იმპერატიული წესი, შეიძლება გახდეს კაპიტალური საზოგადოების განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორი, რაც, საბოლოო ჯამში, დააზიანებს კაპიტალური საზოგადოებების განვითარების პროცესს. ასევე, ნორმების განმარტება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მომავალში არ აღმოჩნდეს დომინანტი აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის არაკეთილსინდისიერი ქცევის წამახალისებელი. კაპიტალურ საზოგადოებაში, რომელსაც განეკუთვნება სააქციო საზოგადოება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლებების დაცვა, რათა უმრავლესობაში მყოფმა აქციონერმა, დომინანტური მდგომარეობის გამოყენებით, ზიანი არ მიაყენოს მას, თუმცა, ასევე

არანაკლებ აუცილებელია უმცირესობაში მყოფმა აქციონერმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბოროტად არ ისარგებლოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებებით და თავისი ქმედებებით არ შეაფერხოს საზოგადოების განვითარება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააქციო საზოგადოების გადაწყვეტილება არ იყო მიმართული მოსარჩელის, როგორც მინორიტარი აქციონერის საზოგადოებიდან განდევნისკენ და მას ამოძრავებდა საზოგადოების გადარჩენისა და განვითარების ლეგიტიმური სამეწარმეო მიზანი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომ შემოწმების ხარჯები დააკისრა მოსარჩელეს იმ დასაბუთებით, რომ მას არც კანონი და არც საზოგადოების წესდება არ ავალდებულებდა მონაცემების შედარების მიზნით სპეციალური შემოწმების საკუთარი ხარჯით ჩატარებას.

VI. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მიხედვით მომოვიხილეთ საქართველოში არსებული სამეწარმეო სუბიექტები, მათი მმართველობითი ორგანოების სტრუქტურა, ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა როლი, კომპეტენციები და მნიშვნელობა, სამეწარმეო სუბიექტის მმართველების მიერ წარმატებული მართვის აუცილებელობა, როგორც ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბების აუცილებელი პირობა, რომელიც დამყარებული უნდა იყოს კარგ და საიმედო კორპორაციულ მართვაზე. ასევე, განვიხილეთ საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები სამეწარმეო სუბიექტებთან მიმართებაში, ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში და ბოლოს საქართველოს სასამართლოების მიერ დამკვიდრებული სამეწარმეო დავებთან დაკავშირებული პრაქტიკა, რადგანაც სასამართლოების მიერ მიღებული თანმიმდევრული და სამართლიანი გადაწყვეტილებები წარმოადგენენ სახელმწიფოში მეწარმე სუბიექტთა დაცულობის პირდაპირ საზომს.

კვლევის შედეგად გამოიყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი და გამახვილდა ყურადღება იმ დანაკლისებზე, რომელთა არსებობაც მეწარმეთა შესახებ კანონს ხდის არასრულყოფილს და ხარვეზულს, შეფასდა რა კორპორაციული მმართველობის ძლიერი და სუსტი მხარეები და შესაბამისი გადაჭრის გზები იქნა მოძიებული. სწორედ აღნიშნული კვლევის მიზანია გამოეკვეთა მეწარმეთა შესახებ კანონის ნაკლოვანებები და მოეძია გაუმჯობესების გზები, რომელიც წინამდებარე ნაშრომის თითოეულ ქვეთავსა და თავში არის მოქცეული. რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ მოკლე რეზიუმე აქაც შეგვიძლია გავიმეოროთ, კერძოდ, საკითხი რომელიც შეეხება საქართველოში სამეწარმეო სუბიექტის დაფუძნების სიმარტივეს საპირწონედ სხვა ხარვეზებს წარმოშობს, კორპორაციულ მართვაში ჩაბმულ პირთათვის იმ თავითვე პასუხისმგებლობით მოეკიდონ სამეწარმეო სუბიექტის დაფუძნებას, დაკავშირებული უნდა იყოს კანონით წინასწარ დაწესებულ უფლება/მოვალეობებთან. მაგალითისთვის, საწარმოს დაფუძნების პროცესში კაპიტალის არსებობის საკითხი მნიშვნელოვანი საკითხია, რაც ასევე, საწარმოს დამფუძნებლების მხრიდან სამეწარმეო სუბიექტის ფორმების არასწორი მიზნით გამოყენების და ასევე,

კონტარჰენტთა ინტერესების დაცვის პრევენციასაც მოახდენდა. ჩვენთვის ასე უკვე კარგად ცნობილი ცნება - „სტაბილური სამოქალაქო ბრუნვა“ მნიშვნელოვან დაცვის ინტერესს უნდა წარმოადგენდეს როგორც კანონმდებლისთვის, ასევე კორპორაციულ მართვაში ჩართული პირებისთვის, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა სწორად განვითარებული კორპორაციული მართვა უდრის კომპანიის დიდ მიღწევებს და ფინანსურ სარგებელს, ხოლო ფინანსური სარგებელი სახელმწიფოს განვითარებაში შეტანილ დიდ წვლილს, როგორც გადასახადების , ასევე იქ დასაქმებულ პირთა ფინანსური უზრუნველყოფის ჩათვლით. ვფიქრობ აღნიშნული საკითხის მოსაწერიებლად დიდი ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებითა და აღნიშნულისთვის სათანადო ხელშეწყობის მცდელობით. შემდეგი და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხს წარმოადგენს, ასევე სამეწარმეო სუბიექტის მმართველთა კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობის ის ფორმები რაც კორპორაციულ მართვაში ჩართულ პირებს კანონით უნდა დაევალოთ, სამართლებრივ სახელმწიფოში კი მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს როგორც კანონი, ასევე, ქცევის სტანდარტები რომელიც ყოველ სახელმწიფოში და საკითხთან მიმართებით ინდივიდუალურია, საკითხავია ის საკითხები, რაც კანონით არ რეგულირდება როგორ წესრიგდება? და ქცევის ეს არაკანონისმიერი სტანდარტები რამენად არის ჩამოყალიბებული მაშინ როდესაც საკითხი კორპორაციული მართვის კულტურას ეხება. სიახლე არ არის ისიც, რომ კორპორაციული მართვის ქცევის სტანდარტები და კანონმდებლობა საქართველოში ბოლო წლებია ფეხს იდგამს, შესაბამისად არის საკითხები რომლებიც უკეთ ფორმირებას მოითხოვს. მოცემულობა იმის შესახებ, რომ პარტნიორთა შეთანხმება- „წესდება“ სტანდარტულია და ამ მხრივ დიდ მრავალფეროვნებებს არ იცნობს სამეწარმეო პრაქტიკა არც ესაა სიახლე, სამეწარმეო სუბიექტების რეგისტრაციის სიმარტივემ ბევრი სხვა პრობლემური საკითხები წამოწია და გამოაჩინა ნაკლოვანებები, რაზეც თვალის დახუჭვა არ ღირს იმის ფასად, რომ აღნიშნული იყოს სწარფი ბრუნვის და ეკონომიკური სიძლიერის პირდაპირ პროპორციული დაშვებები.

რაც, შეეხება პარტნიორთა შეთანხმებაში „წესდებაში“ ისეთი საკითხების გადაჭრას როგორცაა, კორპორაციული მართვის სუბიექტების უფლება/მოვალეობების განსაზღვრა ძალიან სუსტად არის უმეტესად განვითარებული. იმისათვის რომ, სამეწარმეო სუბიექტის მართვისა და ფუნქციონირებისათვის ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლების მნიშვნელობა და კომპეტენციები კარგად გავიაზროთ, მხოლოდ კორპორაციული მართვის კულტურის და მიხვედრილობის იმედად ვერ ვიქნებით, სასურველია კანონი მეწარმეთა შესახებ იზიარებდეს და ითვალისწინებდეს სხვა წამყვანი ქვეყნების მრავალფეროვან და მრავალწლიან გამოცდილებას , რაც წინამდებარე ნაშრომის მიხედვით შედარებით სამართლებრივი კვლევის გამოყენების საფუძველზე გამოიკვეთა, ისეთი საკითხები როგორცაა, საწარმოს ხელმძღვანელთა ფიდუციური მოვალეობების მკაფიო ფორმირების აუცილებლობა კანონში, ასევე საწარმოს პარტნიორთა/აქციონერთა მიერ კეთილსინდისიერების პრინციპით ხელმძღვანელობა და მინორიტართა უფლებების შესახებ მეტი რეგულაციების შემოღება, გამჭოლი პასუხისმგებლობის ფარგლები და აუცილებლობა, ისე რომ ბალანსი არ დაირღვეს საწარმოს მმართველთა შორის, რამაც შესაძლოა საწარმოს დაზიანება ან და მის სრული გაჩერება გამოიწვიოს. არც ისე დამაჯერებლად გამოიყურება მიზეზები იმის შესახებ, რომ მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილებების საჭიროება არ არსებობს, რადგანაც ამან შესაძლოა შეაფერხოს სამეწარმეო სუბიექტის განვითარების ტემპები და ქვეყნისთვის ეკონომიკური სარგებლის სანაცვლად ზიანი მოუტანოს. განვითარებულ ქვეყნებში კი ეს ეტაპი გაიარეს და ახლა დადგა საკითხი მეტი დაცვის მექანიზმების ამუშავებისა და დამკვიდრებისა მეტი სამეწარმეო მართლწერივის უზრუნველყოფისთვის. დღეს არსებული მოცემულობა , კი გვაძლევს მხოლოდ იმის საშუალებას რომ საქართველოს საერთო სასამართლოების იმედად ვიყოთ და მათ მიერ დამკვიდრებული პრაქტიკებით ვიხელმძღვანელოთ, თუმცა აქაც საკითხების არაერთგვაროვნა შეფასებებმა შესაძლოა რისკები გაზარდოს და დაზარალებდეს ის მხარე, რომელიც კორპორაციული გულმოდგინებით მართავდა საწარმოს, რადგანაც მეწარმეთა შესახებ კანონის ის ჩანაწერი რომელიც ითვალისწინებს, რომ „ყველა გადაწყვეტილება,

რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას⁸⁴

არ იძლევა ერთგვაროვანი შეფასების საშუალებას, რა შემთხვევებშია საქმიანობა ჩვეულებრივი ან პირიქით, აქ მეტი სიფრთხილეა გამოსაჩენი, არ მოხდეს ისე რომ ამ უფლებით სწორედ რომ მინორიტარმა პარნიორმა ან არაკეთილსიდიისიერმა ხელმძღვანელმა ისარგებლოს. ამდენად, მეტი სიცხადისა და რეგულაციების შემოღება საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ, მხოლოდ სარგებლის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს და მოლოდინი იმის, შესახებ რომ ეს საწარმოს განვითარებას შეაფერხებს უსაფუძვლოა, გამართული და გაანალიზებული სამართლებრივი მოწერილება ყოველთვის სწორ მიზანს იძლევა, ამდენად წინამდებარე ნაშრომში გააზრებული კვლევები ემყარება , როგორც ამ სფეროში მოღვაწე სპეცილისტების თეორიულ მოსაზრებებსაც და პრაქტიკაში არსებულ იმ გამოწვევებს რომელთა ერთიანობაც ქმნის განწყობას მეტი და დაჩქარებული ნაბიჯებით წინ პოზიტიური ცვლილებებისაკენ .

⁸⁴ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ , დოკუმენტის ნომერი 577, დოკუმენტის მიმღები საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 28/10/1994, დოკუმენტის ტიპი: საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გამოქვეყნების წყარო, თარიღი საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087, მუხლი 9¹.7

გამოყენებული ლიტერატურა

1. კარუნა დ., შედარებითი საკორპორაციო სამართალი: ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, სამაგისტრო ნაშრომი., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი., თბილისი. , 2013.,
2. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომც .: სამართალი., თბილისი., 2006.,
3. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი ., 2011.,
4. ჭანტურია ლ., ნინიძე თ., კომენტარი „მეწარმეთა შესახებ კანონზე“, თბილისი., 2002.,
5. ჭანტურია ლ., სამეწარმეო სამართლის განვითარების საჯარო და კერძო სამართლებრივი, ასპექტები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გამომც .: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი , თბილისი ., 2013.,
6. ბაქაური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ., საკორპორაციო სამართალი , რედ.: ცერცვაძე ლ., თბილისი ., 2019.,
7. ხიტერი ბ., კორპორაციული მართვის თეორიები ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი ., სამართლის ჟურნალი #2., 2017.,
8. მაჭავარიანი ს., კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი., თბილისი., 2015.,
9. მაისურაძე დ., ნარმანია გ., ლაზიშვილი მ., ტყემელაშვილი მ., შაკიაშვილი ი., ზვიერივე ი., სახელმწიფო საწარმოები საქართველოში არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები ., სახელმწიფო უნივერსიტეტი ., თბილისი., 2018წ.,

10. აბაკელია ნ., ღია ტიპის სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოთა სამართლებრივი როლი და მოვალეობები ერთსაფეხურიანი კორპორაციული მართვის სისტემაში ., სამაგისტრო ნაშრომი ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი., თბილისი., 2018.,
11. ჩარგეიშვილი ა., პროკურა და სხვა მინდობილობითი უფლებამოსილებანი., ჟურნალი .: ცხოვრება და სამართალი №1., თბილისი ., 1998.,
12. ყანდაშვილი ი., სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისგან“., ჟურნალი „ადვოკატი“ №1., თბილისი., 2011.,
13. მაისურაძე დ., სამეწარმეო განსჯის წესის განმარტებისთვის., სამართლის ჟურნალი N1-2 თბ.;, 2010.,
14. რამიშვილი ა., კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის როლი კარგი კორპორაციული მართვის მდგრადი მოდელის შექმნაში , აუცილებელი ატრიბუტები და მათი კომბინირება ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი., რედ .: ბურდული ი., სამართლის ჟურნალი 2 ., 2014 .,
15. მაისურაძე დ., კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას ., ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი., თბ., 2014.,
16. ბურდული ი., მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები., გამომც .: მერიდიანი., თბილისი ., 2009.,
17. ზუბიტაშვილი ნ., მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ჭრილში ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი ., რედ.: ბურდული ი., სამართლის ჟურნალი #2., თბ ., 2014.,
18. ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი. , ქართული სამართლის მიმოხილვა., თბ., 2007 .,

19. მახარობლიშვილი გ., მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამოჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე., სამართლის ჟურნალი #2., თბილისი ., 2011.,
20. ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიის მართვისას (შედარებითსამართლებრივი ანალიზი აშშ-ის, უპირატესად დელავერის შტატის, და ქართული სამართლის მაგალითზე)., ქართული სამართლის ჟურნალი, თბილისი ., 2013.,
21. Report of the Committee on the Financial Aspects of Corporate Governance., London., 1992
22. Soderquist L.D., Smiddy L.O., Cunningham L.A., Corporations and other Business Organizations: Cases, Materials, Problems, sixth edition, LexisNexis., 2005.,
23. Gordley James, von Mehren, Arthur Taylor., შესავალი კერძო სამართლის შედარებით სწავლებაში., Cambridge., University Press., Cambridge., 2006.,
24. საბჭოს მესამე დირექტივა, 13 დეკემბერი 1976, 1977 O.J. (L 26) 1. მოხდა დირექტივის რეკოდიფიკაცია როგორც დირექტივისა – 2012/30/EU, 2012 .,
25. Функ Я.И. и др. Акционерное общество: История и теория (Диалектика свободы). Мнс., 1999.
26. Kral P., Tripes S., Pirozek P., Pudil P., Corporate Governance Against Recommendations: The Cases of the Strong Executive and the Strong Ownership, Journal of Competitiveness, 4.3., 2012.,
27. Alam A. Shah S., Corporate Governance and its Impact on Firm Risk, International Journal of Management, Economics and Social Sciences, 2.2., 2013.,
28. Marshall S. Ramsay I., Stakeholders and Directors' Duties: Law, Theory and Evidence, UNSW Law Journal, 35.1., 2012.,
29. Bonazzi L., Islam S.M.N., Agency theory and corporate governance: A study of the effectiveness of board in their monitoring of the CEO, Journal of Modelling in Management, 2.1., 2007.,
30. Стрекалова А.А., Второе Поколение Фискального Федерализма, Журнал Human Progress, 2.3., 2016.,
31. Namazi M., Role of the agency theory in implementing management's control, Journal of Accounting and Taxation, 5.2., 2003.,
32. Кашанина Т. В. Корпоративное право. Учебник. М., 1999.,

33. Grunewald B., Gesellschaftsrecht, 2. Aufl, 1996.,
34. Towards a European Civil Code, Kluwer Law International, 2004.,
35. Edward E. Rock, “Adapting to the New Shareholder-Centric Reality”., Directors owe fiduciary duties to the corporation, for the benefit of the shareholders as a group not “and to the shareholders”. ,161 U. Pa. L. Rev. 1907., 1956-57., 2013.,
36. *Kubota D.*, Due diligence and commercial transaction - Advanced Corporate Business Transactions., Ontario., 2009.,
37. *Cahn A., Donald D.C.*, Comparative Company Law, Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the Uk and the USA, Cambridge University Press., Cambridge., 2010.,
38. Strasser K., Piercing the Veil in Corporate Groups, 37 Conn. L. Rev., 2005.,
39. *Andenas M., Wooldridge F.*, European Comparative Company Law, Cambridge University Press, Cambridge, 2009 .,
40. *Закон об Акционерных Обществах Германии*, параллельные русский и немецкий тексты, М., Волтерс Клувер, 2009; *Dine J.*, The Governance of Corporate Groups, Cambridge University Press., Cambridge, 2003.,
41. Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 2009.,
42. Kleinberger D.S., აგენტობა, ერთობლივი საქმიანობა და შპს-ები, მე-2 გამოცემა, ნიუ-იორკი, „Aspen Publishers“, 2007.,
43. Cohen, Fiduciary Duties of Controlling Shareholders: a Comparative View, 1991.,
44. case: *In Re Gelatine*, April 26, 2004, Doc.No II ZR 154/02, Der Konzern 2004, 421 wignSi:
Cahn A., Donald D.C.. Comparative Company Law, Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the Uk and the USA, Cambridge University Press, Cambridge, 2010.

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- 1) საკასაციო საჩივარი, საქმის N ას-1548-2019, თარიღი 20/11/2019, , დავის საგანი - კრების ოქმის ბათილად ცნობა. გადაწყვეტილება/განჩინება- საქმე №ას-1548-2019 .
- 2) განჩინება #ას-35-32-2015 27 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი, საწარმოს წესდების ცვლილება, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.
- 3) საქმის №ას-1307-1245-2014, 6 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

სამართლებრივი აქტები :

- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=161>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=47>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=64>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=33>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=139>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=29>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=24>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4764812?publication=0>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/88696?publication=0>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1010061?publication=0>
- https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/axali_aktebi/matsne-.pdf

ინტერნეტრესურსები:

- <https://napr.gov.ge/p/679>
- http://civilcode.ge/index.php?title=Main_Page
- <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>